

# ხობის მოამბე

№16 (7051) 28 აგვისტო, პარასკევი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## დღეს მარიამობაა, გილოცავთ!



28 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია მარიამობას ანუ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა) ათორმეტთაგან ერთი საუფლო დღესასწაულია.

ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეთისხილის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა.

მთავარანგელოზმა დედაღვთისას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დარგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ. ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული თავად უფლის ხელით ავიდა ცათა სასუფეველში.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორცით ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.

## პრემიერ-მინისტრის მოლოცვა პირველკურსელებს!



გულითადად ვულოცავ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას ჩვენს ახალგაზრდებს. მათ ცხოვრებაში ახალი, ძიებით აღსავსე წლები იწყება.

მისასალმებელია, რომ წელს ჩარიცხულ 28 000-ზე მეტ სტუდენტს შორის 10 000-მდე ახალგაზრდა ისწავლის სახელმწიფო დაფინანსებით. ჩვენ ძალ-ღონე არ დავიშურეთ იმისთვის, რომ ხელი შეგვეწყო ახალგაზრდებისთვის, გვერდში დავდგომოდით მათ ოჯახებს. სასიხარულოა, რომ მათ ასე გაამართლეს იმედი.

კიდევ ერთხელ ვულოცავ წარმატებას ყველა პირველკურსელს, მათ ოჯახებს, პედაგოგებს.

ძვირფასო ახალგაზრდებო, მინდა იცოდეთ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თქვენ გქონდეთ საუკეთესო საშუალება ხარისხიანი განათლების მისაღებად, ჩვენ ყოველმხრივ შეგიწყობთ ხელს თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზებაში.

**გილოცავთ!**

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები, სადაც განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: საკრებულოს წევრის ლაშა გვასალიას პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. შემდეგ საკითხად განხილულ იქნა დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის 39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის 215 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აღნიშნული აქტების მიღების საფუძველი გახდა საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენას საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის მიერ ნაცვლად საკრებულოსი.



სხდომაზე ასევე განხილულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ შემუშავებული წინადადება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის– „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ რეორგანიზაციის ფარგლებში მათი შერწყმისა და ერთი იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბების შესახებ. აღნიშნულმა საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა საკრებულოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გამგებელს მიეცა თანხმობა რეორგანიზაციაზე და არსებული იურიდიული პირების შერწყმის საფუძველზე ახალი ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დაფუძნების შესახებ. საკრებულოს მიერ გამგეობას აუდიტის დასკვნის საფუძველზე, ასევე მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო კორპუსზე მიშენებული ორი ნაგებობის, რომელიც სრულად ამორტიზებულია და ექსპლუატაციისთვის უვარგისი, დემონტაჟისა და ტერიტორიის ნარჩენებისგან გაწმენდა განხორციელდეს აუქციონის წესით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

WWW.khobi-sakrebulo.ge.

## საერო-სახალხო დღესასწაული

»»»»»»»»» 4–5

## „ყოჩნუობა“–2015





დაიჯესტი

## „რეგიონალური განვითარების შესახებ“ კანონზე მუშაობა იწყება



„რეგიონული განვითარების შესახებ“ კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიის სხდომაზე განიხილეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

კანონი რეგიონების მდგრადი განვითარების, ეკონომიკური აღმავლობისა და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

კანონპროექტის დახვეწაზე მუშაობა გაგრძელდება, რის შემდეგაც მთავრობა მას განსახილველად პარლამენტს წარუდგენს.

„რეგიონული განვითარების შესახებ“ კანონს საკანონმდებლო ორგანო, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მიიღებს.

რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიის სხდომას მინისტრთა კაბინეტის წევრები, დეპუტატები, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ამაშუკელი და რეგიონების გუბერნატორები დაესწრნენ.

## ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი უელსის სამიტზე მიღებული არსებით ღონისძიებათა პაკეტის ყველაზე მასშტაბური კომპონენტია და მისი დაარსება ნათლად წარმოაჩენს პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია,–ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ცენტრის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ერთობლივად გახსნეს.

მთავრობის მეთაურმა ნატო-საქართველოს წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო ცენტრი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას.

„ცენტრის ფუნქციონირება დაგვეხმარება ჩვენი შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის ამაღლებაში. ცენტრის დაარსებას საქართველოსთვის აქვს კიდევ ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი დატვირთვა–ეს არის საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება. შეიარაღებული ძალების თავსებადობის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ცენტრი ამ ეტაპის წარმატებით დაძლევაში დაგვეხმარება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თანამშრომლობის ეს ახალი ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებას. მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო ცენტრის საქმიანობა არანაირად არ იქნება მიმართული რომელიმე მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, მეტიც, იგი იდგება რეგიონალური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების სამსახურში.



ცენტრი თავისი შინაარსითა და ფუნქციით ხელს შეუწყობს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას, –განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, წლების განმავლობაში, ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი, იყოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველო სრულად აცნობიერებს გლობალური ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხეს და შესაბამისად, ცენტრის დაფუძნება არის საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუცია რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

„მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ მჭიდრო კონსულტაციებს და ინტენსიურ დიალოგს ნატოსთან, ევროკავშირთან, დასავლელ პარტნიორებთან. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრების მხარდაჭერით, საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ერთიან, მშვიდობიან და თავისუფალ ევროპულ ოჯახში“, –განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ნატოს გენერალური მდივნის მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში და ცენტრის დაარსებაში შეტანილი წვლილისთვის თავდაცვის მინისტრს, სამინისტროს, ნატოს საერთაშორისო სამსახურს და წევრ ქვეყნებს მადლობა გადაუხადა.

ერთობლივი ცენტრის მნიშვნელობაზე ისაუბრა ალიანსის გენერალურმა მდივანმა. იენს სტოლტენბერგის თქმით, ცენტრი საქართველოს აღმოუჩენს დახმარებას, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალები იყოს უფრო თანამედროვე და მაღალი ბრძოლისუნარიანობით აღჭურვილი, იმისთვის, რომ 21-ე საუკუნის გამოწვევებს დაუპირისპირდეს.

„გაერთიანებული წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნის თვალსაზრისით ჩვენი თანამშრომლობა დამატებით განვითარდება. საქართველო გახდება უფრო მეტად თავსებადი ნატოსთან, ნატო უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი საქართველოში და ჩვენი ხილვადობა უფრო ამაღლდება ქვეყანაში“,–განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

## „მოხარული ვარ, რომ ჩვენმა პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებაში შედეგი გამოიღო“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ხელისუფლება ახერხებს, რომ ერთმანეთისგან გაყოს საკითხები, რომლებიც გვარდება და ვერ გვარდება რუსეთთან.

ზაქარეიშვილის თქმით, ევროკავშირის რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებში საქართველოს არმონაწილეობა გონივრული პოლიტიკის შედეგია.

„იქ, სადაც მოგვარებადია სიტუაცია, ვთვლით, რომ ისეთი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ, რაც დააზარალებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ამიტომ, მოხარული ვარ, რომ ჩვენმა პოლიტიკამ, რომელიც გადახედილია რუსეთთან მიმართებაში, შედეგი გამოიღო და საქართველო განაგრძობს სავაჭრო და სხვა ისეთ ურთიერთობებს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან არის გამომდინარე,“–აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი საქართველოს კონტრსანქციებს არ დაუწესებს. როგორც რუსეთის ფედერაციის მინისტრთა კაბინეტში განმარტავენ, სასურსათო ემბარგოს სიაში საქართველო იმიტომ არ მოხვდა, რომ ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციები უმნიშვნელოა.

ინფორმაციას რუსეთის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ამ მომენტისთვის რუსეთსა და საქართველოს, მაღალი სავაჭრო ბრუნვა და აქტიური ურთიერთობები არ აქვთ.

## „ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ბაზრები ვარჩიოთ, სად ვიმუშაოთ და სად არა“

ნოდარ ხადურის თქმით, საქართველომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, მათ შორის რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ბაზრების ათვისების ჩათვლით.

სწორედ მთავრობის და მისი მეთაურის დამსახურებაა, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ერთნაირი წარმატებით იმუშაოს ყველა ბაზარზე, იმუშაოს ევროკავშირში, სადაც უკვე გვაქვს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. ასევე, ჩინეთის ბაზარზე, სადაც ძალიან საინტერესო პროექტები გვაქვს და დარჩეს იმ ბაზარზე, სადაც ქართული პროდუქციის ცნობადობა ძალიან მაღალია. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ბაზრები ვარჩიოთ, სად ვიმუშაოთ და სად არა. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ და ცხადია, რუსეთის და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ბაზრები არის ერთ-ერთი საინტერესო, ამ თვალსაზრისით“, –განაცხადა ნოდარ ხადურმა.



შეგახსენებთ, რომ რუსეთი საქართველოს კონტრსანქციებს არ დაუწესებს. როგორც რუსეთის ფედერაციის მინისტრთა კაბინეტში განმარტავენ, სასურსათო ემბარგოს სიაში საქართველო იმიტომ არ მოხვდა, რომ ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციები უმნიშვნელოა.

ინფორმაციას რუსეთის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ამ მომენტისთვის რუსეთსა და საქართველოს, მაღალი სავაჭრო ბრუნვა და აქტიური ურთიერთობები არ აქვთ.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## უხვმა ნალექმა სოფელი საჭოჭუო დააზარალა



ბოლო დღეებში მოსულმა უხვმა ნალექმა საქართველოს რამოდენიმე რეგიონს, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტს გარკვეული ზიანი მიაყენა. ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საჭოჭუოში დაზიანდა ნათესები, დაიტბორა სახლები, წყალს შინაური ფრინველიც ემსხვერპლა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ და მოსახლეობისგან მოისმინეს ის პრობლემები, რაც სტიქიის შედეგად მათ შეექმნათ. ხობის მუნიციპალიტეტში შექმნილი ზარალის დამდგენი კომისია მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალს დაითვლის.

## გამგებელმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა



ხობის მუნიციპალიტეტის პირველი ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღში მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 16 450 ლარს შეადგენს და მას ინდივიდუალური მეწარმე „ბადრი ბუკია“ ახორცილებს. მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს. სამუშაოები სასწავლო წლის დაწყებამდე, 12 სექტემბერს დასრულდება.

## ჰიბრიდული ჯიშების გამოკვლევა

21 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-ღლვაბის, პირველი მაისისა და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების უფროსი გია ხუბულავა და ამავე სამმართველოს გარემოს დაცვითი სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლევან კვეკვესკირი, მათ მცენარეული კულტურების: სიმინდისა და სოიოს ჰიბრიდული ჯიშების ნიმუში აიღეს და შემოდგომში მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით საზღვარგარეთ, კერძოდ ავსტრიაში ამბულატორიული გამოკვლევისათვის გასაგზავნად შეფუთეს.

სინჯების აღების პროცესს, სპეციალისტებთან ერთად დამკვირვებლის სტატუსით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნანი ღვინჯილია, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალიტი თემურ კანკავა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პრეზენტაცია



ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ქსელის (CENN) მიერ, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში ფაზა II-ის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა. „ტყეების მართვის სისტემის დეცენტრალიზაციის ინიციატივა, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტებში არსებული შესაბამისი სამსახურების გაძლიერებას ბუნებრივი რესურსების მართვაში, ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროექტი საქართველოს სამ რეგიონში ხორციელდება (სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი და თბილისი) თუმცა პროექტის განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კომპონენტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც შექმნილია ღია გარემოსდაცვითი საკოორდინაციო ჯგუფები. სამიზნე რეგიონების შერჩევა მოხდა, როგორც გეოგრაფიული და ეკოსისტემური კრიტერიუმების, ასევე ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ინიციატივა ასევე ეხმარება საქართველოს მთავრობის ადგილობრივ თემებთან, თვითმმართველობებთან კომუნიკაციასა და პოლიტიკური დიალოგის წარმართვაში სატყეო რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

პროექტის ფარგლებში CENN-ის წარმომადგენლები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ისაუბრეს მუნიციპალიტეტში არსებული შესაბამისი სამსახურის გაძლიერებაზე, დამსწრე საზოგადოებამ მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღო.



## გოდერძი ბუკიამ მშენებარე ქარხანა დაათვალიერა



ქ. ხობში სიმინდის ზეთისა და სიმინდის გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობის პროცესი საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, ბიზნესმენმა და მომავალმა თანაპარტნიორმა ვასილ ბაბლუანმა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ დაათვალიერეს.

ქარხნის მშენებლობა მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით ხორციელდება. დეპუტატმა სტუმარს დეტალურად გააცნო მიმდინარე სამუშაოები, ისაუბრა მომავალ გეგმებზე და პერსპექტივებზე, როგორც მან აღნიშნა, ქარხნის მშენელობა ნოემბრის ბოლოს დასრულდება, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

## ხობის „კოლხეთი“ დედათა მონასტერში



საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ ფეხბურთელთა გუნდი, ხობის დედათა მონასტერს სტუმრობდა. ფეხბურთელებმა, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოძღვარ დეკანოზ ილიას (ლომაია) და მონასტერში მოღვაწე დედების ლოცვა-კურთხევით მოილოცეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავების და სხვადასხვა სამუშაოების შესრულების სურვილი გამოთქვეს.

აქციაში ფეხბურთელები და მწვრთნელები მონაწილეობდნენ. მათი თქმით, აქცია არ ატარებს ერთჯერად ხასიათს და ის მომავალშიც განხორციელდება.

## „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება“



ჭალადიდის საზოგადოებრივ ცენტრში „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, სამინისტროს თანამშრომლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციები საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრ „აფხაზეთის“ და მიგრაციის, ინტეგრაციისა და განვითარების საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა გამართა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო მხარდაჭერას 2011 წლიდან ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებით, ხოლო პირველად 2015 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყო თანხა 40 000 ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც სამინისტრო საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებს სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას.

პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ დაბრუნებულ მიგრანტთა სამშობლოში ღირსეული რეინტეგრაციის ხელშეწყობა, მეორე მხრივ კი ამ მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერება. აღნიშნული პროგრამა მოიცავს შემდეგი სახის სერვისებს:

სამედიცინო დახმარება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ასევე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია პროფესიული სწავლება სოციალური პროექტების დაფინანსება, ანაზღაურებადი სტაჟირება იურიდიული დახმარება მსგავსი შეხვედრები დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში –ორსანტიის საზოგადოებრივ ცენტრში და წალენჯიხის მუნიციპალიტეტში–ჯვრის საზოგადოებრივ ცენტრში.

შეხვადრას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები.

## პოეზიის საღამო



თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტ „საქართველოს მოხალისის“ და „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის წევრების“ ორგანიზებით გაიმართა პოეზიის საღამო, სადაც მონაწილეობდნენ ხობელი ახალგაზრდა პოეტები.

პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. საკრებულოს თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ახალგაზრდებს პირობა მისცა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ექნებათ მათ მსგავს პროექტებში.

საერო-სახალხო დღესასწაული

# „ცოტნეობა“ – 2015



ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ცოტნე დადიანი ქართული პოლიტიკური აზრისთვის საქართველოს პროგრესული ძალების კონსოლიდაციის, შთამომავლობისთვის კი ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ ძალთა შეკავშირების სიმბოლოა.

უმეფობის ხანაში მონღოლებმა რაჭის ერისთავთან ერთად ის დასავლეთ საქართველოს გამგებლად დანიშნეს. დადიანი მონაწილეობდა კოხტაგორის შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. მონღოლებმა შეთქმულების შესახებ შეიტყვეს, მონაწილეები დააპატიმრეს და ანისში თავიანთ ნოინს მიჰგვარეს. ქართველები უარყოფდნენ შეთქმულებისთვის მზადებას, თუმცა ნოინისთვის მათი არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელი იყო. იმისთვის, რომ ქართველებს ეღიარებინათ, თუ რა გეგმას ამუშავებდნენ, მათ თაფლი წაუსვეს და მცხუნვარე მზის ქვეშ დასვეს. ცოტნე დადიანი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას. ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დადიანმა შეთქმულების მონაწილეთა ამბავი გაიგო, ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა თანამებრძოლების ხვედრი–ტანზე გაიხადა და მეგობრებთან დაჯდა. ცოტნე დადიანის გმირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველების ნათქვამში, რომ ისინი აჯანყების მოსაწყობად კი არ შეიკრიბნენ, არამედ სათათბიროდ, რათა შეწერილი ხარკის აკრეფის საკითხი გადაეწყვიტათ. მონღოლებმა ქართველი პატიმრები გაუშვეს და თავდებად ცოტნე დაუყენეს. ცოტნე დადიანის ქმედება სამაგალითო გახდა პატრიოტი ქართველებისთვის.

სწორედ ამიტომ, 1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იგი წმინდანად შერაცხა. ცოტნე დადიანი მშობლებთან ერთად ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზეა გამოსახული.

* * *

12 აგვისტოს ცოტნეობის დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, სადაც გადმოცემის თანახმად ცოტნე დადიანია დაკრძალული, სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა, ჰოლანდიისა და ბელგიის მიტროპოლიტ დოსითეოზთან და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

საზეიმო წირვას საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი გიგა ბუკია და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები და ცოტნეობის დღესასწაულის დამაარსებელი ბატონი ნუგზარ ნადარაია ესწრებოდნენ.

წირვის დამთავრების შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ცოტნე დადიანი და ცოტნეიდელობის ფენომენი ეროვნულ ცნობიერებაში, მეცნიერული კვლევები ხობის შესახებ“.

კონფერენცია მიეძღვნა ბატონ ნუგზარ ნადარაიას 70 წლის იუბილეს.

კონფერენციაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ **კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია**, **გურამ ოდიშარია** (პრემიერის მრჩეველი), **გოგი ფაცაცია** (დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე), **ლაშა გვასალია** (სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენელი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, პოეტი), **პეტრე ქოჩაკიძე** ჭალადიდელი (პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი).



სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციას უძღვებოდა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში, ისტორიკოსი ბატონი გოგიტა ჩიტაია.სანამ ტრიბუნაზე მოწვეული სტუმრები გამოვიდოდნენ და თავის სათქმელს იტყოდნენ ცოტნეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფაქტებზე, საზოგადოებას ბატონმა გოგიტამ შესავალი სიტყვით მიმართა:

„ვინ არიან ძველი კოლხები? ეს კითხვა საზოგადოებაში ხშირად ისმის, ყველა თანხმდება იმაში, რომ ისინი ალბათ ისეთები იყვნენ, როგორებიც გუბაზ მეფე, აიეტი და ფარტაზი, ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი. კოლხობა ძველად ძალიან საამაყო იყო. ამას ადასტურებს ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია, რომელიც წერსლაზების–ეგრისელების შესახებ: ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელითო. ამასვე ადასტურებს, ის, რომ კოლხი ხელოსნები თავიანთ დამზადებულ ყელყარყარა სურებსა და დოქებს, მუცელგამობერილ ქვევრებსა და ჭინჭილებს საკუთარ სახელს კი არა, ამაყად აწერდნენ: „კოლხმა გამაკეთა მე“.

საბედნიეროდ, ჩვენში ყოველთვის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ იმისთვის, რომ ძველი კოლხების შთამომავლობით ეამაყათ თანამედროვეებსაც. ასეთ ადამიანთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს, ძველი კოლხების ღირსეულ შთამომავალს ბატონ ნუგზარ ნადარაიას.

ხობის საზოგადოებას ახსოვს უზარმაზარი ენერგიითა და აღმშენებლობის სურვილით, დროსა და კოლოსალურ ბიუროკრატიულ ძალასთან ჯიუტად შეჭიდებული ახალგაზრდა ნუგზარ ნადარაია, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და მთელი ეპოქა შექმნა ხობის ისტორიისა. იმ დროს აშენდა ადმინისტრაციული შენობები, სპორტული კომპლექსები, კულტურის სასახლე, ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და თეატრონი... და მრავალი სხვა.

ხობში მრავალი მამულიშვილი აღზრდილა, მრავალს უმოღვაწია, მაგრამ ნუგზარ ნადარაიას გამორჩეული და თვალსაჩინო ადგილი უკავია მათ შორის, იგი ხობის საზოგადოების მიერ დამსახურებლად არის აღიარებული ხობის ისტორიაში ერთ-ერთ ღირსეულ და საპატიო მოქალაქედ. აკი მის ხელში ხობი გადაიქცა საერთაშორისო დონის კულტურისა და სპორტის ცენტრად. ბატონ ნუგზარ ნადარაიას სახელი აღმშენებლობასთან ასოცირდება და ამიტომაც სრულიად სამართლიანად ხობელები მას „ხობის აღმაშენებელს“ უწოდებენ. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელის უკვდავსაყოფად, ისიც საკმარისი იყო, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ხობის მონასტერთან დღეს უკვე ტრადიციადქცეულ „ცოტნეობის“ დღესასწაულს, რითაც სათავე დაუდო ჟამთა ვითარებისგან და ადამიანთა გულქვაობით მიტოვებულ და მივიწყებული ხობის მონასტრისა და უაღრესად ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის წარმოჩენას ფართო საზოგადოების წინაშე. იმ პერიოდში პარტიული ფუნქციონერის მიერ წარსულით დაინტერესება საკმაოდ სარისკო საქმე იყო. მოგეხსენებათ, ცოტნე დადიანის ეპოქა იყო სასტიკი, ვერაგი და სისხლიანი. არანაკლები იყო XX საუკუნეც, ოღონდ სისასტიკისა და სისხლისღვრის მეთოდები უფრო დაიხვეწა, რეჟიმი განსხვავებული აზრისა და მისწრაფებების ადამიანებს არ ჰგუობდა, ბატონ ნუგზარს, ცხადია, ბეწვის ხიდზე უწევდა გავლა, მიუხედავად ამისა მან სძლია სირთულეებს და მისი თაოსნობით აღდგენილიქნა მონასტრის გალავანი, ტაძარი და სამრეკლო, ნაგებობებს წლების განმავლობაში აწვიმდა და სპილენძის ფურცლით გადაიხურა, კეთილმოეწყო მონასტრის ტერიტორია...

იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია, არის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. ამჟამად ფაზისის აკადემიის პრეზიდენტია. მისი ხელმძღვანელობით გამოდის სამეცნიერო ჟურნალი „ცოტნეიდელი“ იგი არის ცოტნე დადიანისა და გიორგი ჭყონდიდელის წმინდანად კანონიზირების უზრუნველსაყოფად სახალხო მოძრაობისა და ფოთში აღდგენილ სამეგრელოს მოედანზე ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-თაოსანი. იგი ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს, პარლამენტართა დარბაზის, სამეგრელოს გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისის“, „დიოსკურიას“, „ნიკოლაძის გზით“, „ქალდეას“ სარედაქციო საბჭოს წევრი. არის საზოგადოებრივი მოძრაობა „ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე, ქართული თეატრისა და სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის არჩეულია თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და ქართველ სპორტსმენთა ლიგის საპატიო წევრად. არჩეულია უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგალის, მარტვილისა და ფოთის საპატიო მოქალაქედ. მას უამრავი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სამი ფოტოსურათია, რომელიც სხვადასხვა დროს მას პირადად პატრიარქმა აჩუქა, აგრეთვე ის გულსაბნევი ვერცხლის ჯვარია, რომელიც ასევე პატრიარქმა აჩუქა და მუდმივად ატარებს. ძალიან ამაყობს პატრიარქის სიგელით, რომელიც მიიღო ქრისტეს შობიდან 2000 წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნაში შეტანილი წვლილისთვის.

მისთვის გამორჩეული და განსაკუთრებული გმირია ცოტნე დადიანი-აღმსარებელი, მისი ცხოვრებისეული არჩევანია ცოტნეიდელობა–„აღმსარებლობა უფლის ათივე მცნებისა და თავდადება სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასისათვის“, ცოტნე განსაკუთრებული ფენომენია ქართულ სინამდვილეში და თუ ეს ასე არ არის, მოვუსმინოთ ჟამთააღმწერელს: „დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“.

ბატონ ნუგზარ ნადარაიას ნამოღვაწარის ჩამონათვალსაც კი, ვერ დაიტევს ვერანაირი საკონფერენციო გამოსვლა. გრძნობდა რა შთამომავლობისადმი უდიდეს პასუხისმგებლობას, მძიმე ჯვარით მიმავალს დაღლა არ უგრძვნია, ერთგულად ემსახურა სამშობლოსა და დედა ეკლესიას, მომავალი თაობები ჩვენზე უკეთ დააფასებენ მის ღვაწლს. აკი ამბობს და მოუწოდებს კიდევაც ახალგაზრდობას: „...ჩვენო ღირსეულო მომავალო თაობავ, საქართველოს იმედო და უკვდავებავ! თქვენდამი ერთი თხოვნით-დაგვაკვირდით და მამულის, ერისა და დედაეკლესიის სადიდებლად იღვაწეთ ჩვენზე უკეთესად და ჩვენდა გასახარად. ადიდეთ უფალი, გიყვარდეთ სამშობლო და მოყვასი, ამრავლეთ სიკეთე, იბრძოლეთ სამართლიანობის დამკვიდრებისათვის, მართლაც, ის ურჩევნია მამულს და მშობელს, რომ შვილი სჯობდეს მამასა...“

ნუგზარ ნადარაია დღესაც ჩვეული შემართებით, ჭაბუკური ენერგიით აღსავსე აგრძელებს მუშაობას, იგი ცოტნეს მიმდევართა დიდი რაზმეულის უპირობო თავკაცი და ლიდერია.“

* * *

„ცოტნეობის“ საერო-სახალხო დღესასწაულს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები ბატონები გოდერძი ბუკია და გიგა ბუკია, სასულიერო პირები ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი, ჰოლანდიისა და ბელგიის მიტროპოლიტ დოსითეოზი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ამაშუკელი, ხელისუფლების წარმომადგენლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორის მოადგილე კახა რუსია და რეგიონის ხელმძღვანელი პირები. მათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაათვალიერეს მეგრული ფაცხები და ფაცხებში დამზადებული ტრადიციული კერძები და შემდეგ ნახეს მხატვრული კომპოზიცია „გმირობიდან წმინდანობამდე“ და ფოლკლორულ და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტს დაესწრნენ.



თეატრალიზებული სანახაობა

## ცოტნეობის სპორტული ქრონიკები

დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. 12 აგვისტოს კი გაიმართა დასკვნითი სპორტული თამაშობანი, პირველობა ქართულ ჭიდაობაში, ლელობურთში, ჭადრაკში, გოგი ბუკიას სახელობის პირველობა ნარდში.

## ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ლელოში

3–12 აგვისტოს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ლელოში შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილნი იყვნენ 4 ზონად (შუა ხორგის, ხეთის, საჯიჯაოს და ხობის), ჯგუფებში გამარჯვებულები გადადიოდნენ ნახევარფინალში. შუა ხორგის ზონაში გამარჯვებული გახდა პატარა ფოთის ლელობურთელთა გუნდი, ხეთის ზონაში გაიმარჯვეს ხეთელებმა, საჯიჯაოს ზონაში უძლიერესი გახდა ძველი ხიბულის გუნდი, ხოლო ხობის ზონაში გაიმარჯვეს ხობელებმა.

გამარჯვებული გუნდები ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ

>>>>>>>>>> 5

საერო-სახალხო დღესასწაული

# „ცოტნეობა"–2015

4 ←

ხობი–პატარა ფოთი, ხეთა-ძველი ხიბულა. პირველ შეხვედრაზე ძველი ხიბულის გუნდმა ადვილად დაამარცხა ხეთელთა გუნდი და ფინალში გავიდა.

ხობისა და პატარა ფოთის ლელობურთელთა მატჩი დაძაბულად წარიმართა, მაგრამ შემდეგ პატარა ფოთელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა, მეტოქე დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ. მესამე ადგილისთვის მატჩში ნახევარფინალში წაგებული გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.



ანსამბლი „ბედინერა"–წალენჯიხა

ხობელებმა შეძლეს ხეთელთა დამარცხება და მესამე ადგილი დაიკავეს.

ფინალური შეხვედრა პატარა ფოთისა და ძველი ხიბულის გუნდებს შორის გაიმართა. ძველ ხიბულელებმა დაამარცხეს მეტოქე და გახდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონები, მეორე ადგილი ერგოთ პატარაფოთელებს. პრიზიორი და ჩემპიონი გუნდები დააჯილდოვა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილემ ბატონმა კახაბერ რუსიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რეგიონის ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ედიშერ ჯობავამ, საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ, რეგიონის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით კილასონიამ, ოლიმპიურმა პრიზიორმა მძლეოსნობაში მაია აზარაშვილმა, ბატონმა ედიშერ ჯობავამ ლელოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა რეგიონის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი დავით კილასონია.

რეგიონის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით კილასონიამ ფედერაციის მიერ დაწესებული ჯილდოები გადასცა საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ რაგბისტებს მაისურები აჩუქეს.

გამარჯვებულთათვის პრიზები დააწესა შპს „ხიბლმა" (გენერალური დირტექტორი რამაზ ქობალია) მისმა წარმომადგენლებმა მაკა ჩარტიამ და ლევან ფოცხორაიამ პირველ ადგილზე გასულ ძველი ხიბულის გუნდს გადასცეს მათ მიერ დაწესებული პრიზები (ხატი და თასი) ასევე მათ დააჯილდოვეს შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშე გოგიტა ქავთარაძე (ძველი ხიბულა).

აღსანიშნავია, რომ ფინალური შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართა ხობისა და სენაკის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც დამთავრდა სენაკელთა გამარჯვებით. ამ შეხვედრაში მონაწილე გუნდებიც რეგიონის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა დავით კილასონიამ დააჯილდოვა.

დაჯილდოების დროს მონაწილეებსა და გულშემატკივრებს სიტყვით მიმართეს ბატონებმა გოდერძი ბუკიამ, გიგა ბუკიამ, მეუფე გრიგოლმა, ედიშერ ჯობავამ, დავით კილასონიამ, კახაბერ რუსიამ. მათ წარმატებები უსურვეს ლელობურთელებს და მომავალში დიდი მხარდაჭერა აღუთქვეს.

## ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში, ჟურნალისტ გოგი ბუკიას ხსოვნას მიეძღვნა

10-12 აგვისტოს, კულტურის სახლის ფოიეში, ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში, რომელიც გოგი ბუკიას ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში 44 მონარდე მონაწილეობდა. თამაშები მეტად საინტერესოდ წარიმართა. გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონი.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხეთელი ლევან ჭითანავა და პირველმაისელი ელგუჯა ქარდავა. ჭითანავამ შეძლო მეტოქის დამარცხება და დაიკავა მესამე ადგილი.

ფინალურ შეხვედრაში, რომელიც დაძაბულად წარიმართა, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ლაშა ვართაგავა, (ხობი) და ნოე ბუკია (ხეთა). ლაშა ვართაგავამ დაამარცხა მეტოქე და გახდა ღირსეული გამარჯვებული. ამრიგად, მეორე ადგილზე გავიდა ნოე ბუკია.

შეჯიბრების ჩემპიონს, გადაეცა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი, სიგელი და ფულადი ჯილდო. ასევე მან ამ გამარჯვებით მოიპოვა ქ. ბათუმში სექტემბრის თვეში გ. ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის უფლება, შეჯიბრების დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ბატონი კახაბერ რუსია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარ ედიშერ ჯობავა. ქ. ფოთის მერი ბატონი ირაკლი კაკულია, საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი რევაზ წულაია.

დაჯილდოების მსვლელობისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გოგი ბუკიას ხსოვნას. გამარჯვებულ მონარდეს, ლაშა ვართაგავას კი გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირში წარმატებები უსურვეს.

## ქართული ჭიდაობა

12 აგვისტოს ქ. ხობში ქართული ჭიდაობის მანეჟზე ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, შეჯიბრება 7 სხვადასხვა წონით კატეგორიაში გაიმართა: წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან:

**თემურ კუპრაძე; ტეგა ბუკია, დათა ხოშტარია, გოგა პერტახია, გიორგი ლაგვილავა, არჩილ ცქიტიშვილი, ალმასხან ხუნჯუა**.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ თასებითა და სიგელებით.

დაჯილდოებას უძღვებოდნენ ქ. ფოთის მერი ირაკლ;ი კაკულია, ოლიმპიური პრიზიორი მძლეოსნობაში მაია აზარაშვილი, ვეტერანი მოჭიდავე საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ტრისტან ტკაჩოვი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსია, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა. საქართველოს პარლამენტის წევრი ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია.

## ხობის მუნიციპალიტეტის აბსოლუტური პირველობა ჭადრაკში

კულტურის სახლის მცირე დარბაზში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის აბსოლუტური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ნორჩი, ისე ვეტერანი მოჭადრაკეები.

გამოვლინდნენ პრიზიორები და მუნიციპალიტეტის აბსოლტური ჩემპიონები.

მესამე ადგილი დაიკავა ამირან შონიამ (ნოჯიხევი), მას გადაეცა მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ლატარია (თორსა), რომელიც დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით

მუნიციპალიტეტის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ვეტერანი მოჭადრაკე ბადრი ლომაია (ხობი), რომელიც დაჯილდოვდა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით.

შეჯიბრებაზე დაწესებული იყო პრიზები სხვადასხვა ნომინაციაში. ყველაზე უხუცესი მონაწილის პრიზით დაჯილდოვდა არჩილ შამუგია, პერსპექტიული მოჭადრაკის პრიზით კი სანდრო ბუკია.

დაჯილდოებას უძღვებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსია, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ქალაქ ფოთის მერი ირაკლი კაკულია, საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია.

* * *

დღის მეორე ნახევარში ხალხმრავლობა შეინიშნებოდა ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. სადაც წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა სახის სახალისო პროგრამა, მეგრული სამზარეულო, ქართული პოეზიისა და ზეპირსიტყვიერების ეთნოგრაფიული მასალებისა და რეწვის ნიმუშების გამოფენა, რომელშიც სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტი იყო ჩართული.

მოწვეულმა სტუმრებმა ბოლოს ამ დღისთვის სპეციალურად მოწყობილ სცენასთან მოიყარეს თავი, სადაც წარმოდგენილიქნა მხატვრული კომპოზიცია „გმირობიდან წმინდანობამდე", ასევე ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი.

„ცოტნეობის" სახალხო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „ოდაბადე", რომელიც თბილისში მცხოვრები ჩვენი კუთხის შემსრულებლებისგან ჩამოაყალიბა ანსამბლ „კოლხეთის" აღზრდილმა ზაზა ბაჩილავამ და მოკლე დროში მოიპოვა სპეციალისტთა მოწონება. ანსაბლ ,,ოდაბადესთან" ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა ნინო გოთოშია, რომლის პირველი დისკის პრეზენტაცია, ხობის მე-7 ქართული (მეგრული) სიმღერის საერთაშორისი ფესტივალის ფარგლებში ოქტომბრის თვეში გაიმართება.

წელს „ცოტნეობის" ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებებზე პირველად მონაწილობდა რეგიონის თითქმის ყველა ძლიერი ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები.

ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი" (ფოთი) ხელძღვანელი იროდი ტიკარაძე.

ვოკალური ანსაბლი „ფაზისი" (ფოთი) ხელმძღვანელი გიორგი ჯანელიძე.



ანსამბლი „ოდოია"–ზუგდიდი

„ოდოია" (ზუგდიდი)–ხელმძღვანელი მერაბ ბიგვავა.

ანსამბლი ,,ბედინერა" (წალენჯიხა) ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამა" (წალენჯიხა) ქორეოგრაფი გიორგი მატუა, ღვინჯილიების მომღერალთა ოჯახი (წალენჯიხა) და უხუცესი მომღერალი ნიკოლოზ ციმინტია სიმღერით ,,პოპური".

ანსამბლი „ჰარირა" (აბაშა) ხელძღვანელი მოველი მაკალათია, ქალთა ფოლკლორული ანსაბლი „თოლიგე" (აბაშა) ხელძღვანელი ინგა ჩირგოლაშვილი.

ანსამბლი „გოგოლაი" (სენაკი) ხელძღვანელი ლალი გოგია, ანსაბლი „სენაკი" ხელძღვანელი დიმიტრი კაკულია, ანსამბლი „ჭყონდიდი" (მარტვილი) ხელძღვანელი მარინა კაკაშვილი. დემურ ახალაია (მარტვილი) სიმღერით ,,ტურულუა"

კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სასულიერო პირები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ამაშუკელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორის მოადგილე კახა რუსია, და რეგიონის ხელმძღვანელი პირები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად.

ტრიბუნიდან ცოტნეობის დღესასწაული მოსახლეობას მიულოცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონ გოგი ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ. აქვე მათ მიერ გაჟღერდა რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისთვის, ფოთისა და ხობის ეპარქიის სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრის დირექტორს, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარ სპეციალისტს ძეგლთა დაცვის საკითხებში **გოგიტა ჩიტაიას** და კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან" არსებულ ანსამბლ „კოლხეთის" წევრს, მომღერალს, მსახიობს **რევაზ თოდუას** ცოტნეობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიენიჭათ ხობის „საპატიო მოქალაქის" წოდება.

## გოგიტა ჩიტაია:

„12 აგვისტოს, ცოტნეობას ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. რა თქმა უნდა ძალიან გამიხარდა. პატრიარქის სიგელთან ერთად, რომელიც მე უფრო ადრე მივიღე, ამაზე დიდ ჯილდოს, ჩემი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ვერ ვინატრებდი. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ხობელებს ჩემი მოკრძალებული შრომის ასე დაფასებისათვის.

ხობელობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, არა იმიტომ, რომ ჩვენ სხვებზე უკეთესები ვართ, რა თქმა უნდა არა, უბრალოდ ღვთისგან გვერგო პატივი გვეცხოვრა იმ ტერიტორიაზე, რომელიც უხსოვარი დროიდან ხობის მონასტრისა იყო, ხოლო აქ მცხოვრები ხალხი კი, ხობის ყოვლადწმინდა „თეთროსანი" ღვთისმშობლის ყმები ვიყავით. ის, რომ ღვთისმშობლის მსახურეული მრავალათასიანი ლაშქარი გამოგარჩევს და დაგაფასებს, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა ღვთისა და ერის წინაშე.

დედაღვთისა ფარავდეს ხობს, ხობელებს და სრულიად საქართველოს!"

დღესასწაული გვიანობამდე გაგრძელდა. სტუმარ-მასპინძლებმა სიხარულით და კმაყოფილებით დატოვეს „სადღესასწაულო ადგილები"

ასეთი იყო 2015 წლის ცოტნეობის საერო სახალხო დღესასწაული...

**საკუთარი ინფორმაცია**



მიმდინარე წლის მარტში პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონების პირველ პირებთან გამართულ შეხვედრაზე ხობის მუნიციპალიტეტი, საბიუჯეტო ვალდებულებების 100%-იანი შესრულების გამო, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მუნიციპალიტეტად მოიხსენია.

„როგორ ახერხებს ხობის ადგილობრივი ხელისუფლება საბიუჯეტო თანხების მობილიზებასა და ათვისებას მაშინ, როცა ის ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერს არ იღებს, რა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება შეძლო ბოლო ერთ წელიწადში ხობის გამგეობამ და საკრებულომ, „რა წვლილი მიუძღვის მრავალგზის მაჟორიტარ დეპუტატს, გოდერძი ბუკიას ხობის ეკონომიკურ განვითარებაში;

„აგრეთვე, რა გზა განვლო თავად გოჩა ქაჯაიამ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე არჩევამდე, რა იყო მისთვის იმის მთავარი მოტივაცია 2014 წელს, რომ კენჭი ეყარა გამგებლის თანამდებობაზე, რამდენად შეძლო ამომრჩეველთა წინაშე გაცემული დაპირებების შესრულება, რა რეაქცია აქვს კრიტიკაზე, ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, გოჯა ქაჯაიასთან ჩაწერილი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„პრემიერ-მინისტრის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის პირველ ადგილზე დასახელება ნამდვილად მოულოდნელი და სასიამოვნო იყო".

„ხობის მუნიციპალიტეტი წლების განმავლობაში საკუთარი შემოსავლებით საზრდოობს, რომლის ძირითად ნაწილს შპს „შავი ზღვის ტერმინალიდან" შემოსული გადასახადებია".

„შავი ზღვის ტერმინალი" ხობის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. მისი წილი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში 42%-ს შეადგენს".

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში უკვე დაიწყო სიმინდის გადამამუშავებელი და ზეთის გამომხდელი ქარხნის მშენებლობა".

„ქარხნების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ 100-მდე მუშა-ხელი დასაქმდება".

„მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გავააქტიუროთ, რათა ეტაპობრივად აღმოიფხვრას დასაქმების პრობლემა და მოსახლეობას საარსებო წყარო გამოუჩნდეს".

„ხობში ადგილობრივი თვითმმართველობა გამართულად და აქტიურ რეჟიმში მუშაობს".

„განგებამ მრავალი გამოცდა მოგვიწყო, რომელთაგან ყველაზე მძიმე უახლოესი ადამიანების დაკარგვა იყო. მუნიციპალიტეტის ისტორიაში ჩემი ძმის სახელი არამარტო მისი პირველ პრეფექტად ყოფნის გამო დარჩა ,,ჩვენს ოჯახს რაიონის მთელმა საზოგადოებამ მისი გმირულად დაღუპვის გამო არნახულად უთანაგრძნო".

# „პირადი ურთიერთობების სიმყარე ყველანაირ თანამდებობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ"

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

***ბატონო გოჩა, პირველ რიგში გვინდა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გვესაუბროთ, რაც ხობის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. რა პროექტებს გამოყოფდით?***

–ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში მინდინარეობს ხეთისა და თორსადღვაბის წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის ფარგლებში კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპი, ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტება) სამუშაოები, ბიის წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. ხობში ჭყონდიდელის ქუჩაზე 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. ხობის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ქალაქ ხობში გორგასალის ქუჩის ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთება და ქალაქ ხობში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ყველა სოფელში მიმდინარეობს სამუშაოები მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად. მიმდინარე წლისთვის პრიორიტეტად მიჩნეულიქნა და მიმდინარეობს საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები, ქვიშა-ღორღოვანი საფარის მქონე შიდა სასოფლო გზების შეკეთება, სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ხიდ-ბოგირების რემონტები, წყალსადენი სისტემის მოწყობა, წყაროს წყლის სათავე-ნაგებობების კაპიტალური რემონტი, სასაფლაოს ტერიტორიის შემოკავება, გარე განათების მოწყობა, 9 აპრილის მემორიალისა და სკვერის კეთილმოწყობა.

2014 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში ძველ ხიბულაში, საჯიჯაოში, ბიასა და პირველ მაისში უნდა განხორციელდეს დაზიანებული გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოები, ხოლო სოფელ ქარიატაში-მდინარე ხობზე ბონდის ხიდის საპროექტო სამუშაოები. ასევე, სოფელ მეორე გურიფულში მდინარე ხობზე დაიწყება 1,2 მილიონიანი ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტში ასევე მრავლად არის დაგეგმილი ისეთი სამუშაოები, რომელთაც თავად სახელმწიფო ახორციელებს. მაგალითად: მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილია 2,7 მილიონიანი პროექტი ქალაქ ხობის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციოდ; გზების დეპარტამენტის მიერ შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები სოფელ ძველ ხიბულაში. იგეგმება ზუბიძველი ხიბულის გზისა და ხობი-გურიფული-ახალსოფელი-ბაქანის გზის მონაკვეთების მოასფალტების სამუშაოები.

უკანასკნელ პერიოდში გარკვეულწილად ყველა სოფელში მოწესრიგდა ისეთი სახის ობიექტები, რომელთა მოწესრიგება თვითონ მოსახლეობამ პირველ ეტაპზე მიიჩნია პრიორიტეტულად. მარტო რად ღირს ქალაქის ცენტრალური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლითაც, პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეებს უსაფრთხო გადაადგილების საშუალებაც მიეცა.

მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის სრულად ამოქმედების შემთხვევაში ხობი შეიძლება ერთ-ერთ აქტიურ ეკონომიკურ რაიონად გადაიქცეს, როგორც საწარმოო, ასევე სოციალური, სპორტული და კულტურული თვალსაზრისით.

მაქსიმალურად შევუწყობთ ასევე ხელს ყველა იმ პროექტს, რომელიც სახელმწიფოსგან არის მხარდაჭერილი. ერთ-ერთ პრიორიტეტად ვსახავთ საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.

რაც შეეხება უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ პროექტებს, არაერთი პროექტია დაგეგმილი, რომელთა განხორციელება, როგორც აღვნიშნეთ, უკვე დაწყებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

***რამდენადაც ვიცით, პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსებული პროგრამის –„აწარმოე საქართველოში"– ფარგლებში თქვენთან 2 ქარხანა შენდება. რა ქარხნებზეა საუბარი?***

–უდავოდ, უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს მხარდაჭერით არაერთ ინიციატივიან ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს ის პროექტი, რომლის განხორციელების საშუალებაც მხოლოდ საკუთარი რესურსებით არ შეეძლო.

საქართველოს მასშტაბით უკვე არაერთი საწარმო გაიხსნა პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში" ფარგლებში.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამ პროგრამის ფარგლებში უკვე დაიწყო სიმინდის გადამამუშავებელი და ზეთის გამომხდელი ქარხნის მშენებლობა და მასთან ერთად აშენდება კომბინირებული საკვების მწარმოებელი ქარხანა, რომლის დაპროექტება დასრულების სტადიაშია.

ამ ორი ქარხნის ამოქმედება შემოდგომისთვის არის დაგეგმილი და სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურის გადამუშავების შედეგად დაიწყება მაღალი სტანდარტების სიმინდის ზეთის, სიმინდის ბურბუშელას, სიმინდის ფქვილის და კომბინირებული საკვების წარმოება. ასევე, პერსპექტივაშია სხვა მსგავსი და მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოება, ვინაიდან სიმინდისგან არაერთი დასახელების პროდუქტის წარმოებაა შესაძლებელი.

ორივე ქარხნის მშენებლობა ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით და მხარდაჭერით დაიწყო, რომელსაც ხობისთვის არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული და სამომავლო გეგმებითაც არაერთ სიახლეს გვთავაზობს.

ქარხნების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ 100-მდე მუშა-ხელი დასაქმდება.

***თქვენ საქართველოში იმ მცირერიცხოვან მუნიციპალიტეტთა შორის ხართ, რომელიც თვითდაფინანსებაზე იმყოფება და ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერს არ იღებს. მიუხედავად ამისა, შარშანდელი ბიუჯეტის შესრულება 100 %-ით შეძელით. როგორ ახერხებთ ამას? რა არის თქვენი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო?***

–ხობის მუნიციპალიტეტი წლების განმავლობაში საკუთარი შემოსავლებით საზრდოობს, რომლის ძირითად ნაწილს შპს ,,შავი ზღვის ტერმინალიდან" შემოსული გადასახადებია. ტერმინალის მშენებლობისა და დიდი ოდენობით მუშა-ხელის დასაქმების პირობებში, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული გადასახადების კვალობაზე, ადგილობრივმა ბიუჯეტმა 2007 წელს 12 მილიონ ლარს მიაღწია.

უკანასკნელ წლებში, ტერმინალის ქონების ინვენტარიზაციისა და მისი ცვეთის გათვალისწინებით, მკვეთრდ შემცირდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებიც და ხობი ფინანსური რესურსების სიმწირის წინაშე დადგა, თუმცა, ბიუჯეტის მთავარი დონორი კვლავ შავი ზღვის ტერმინალია.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული და მიმდინარე პროექტები სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც ხობის მუნიციპალიტეტი შარშან პირველ ადგილზე დასახელდა.

შედეგი ჩვენთვის თავისთავად ცნობილი იყო, ვინაიდან ყველა ვალდებულება შესრულებული გვქონდა, თუმცა პირველ ადგილზე დასახელება ნამდვილად მოულოდნელი და სასიამოვნო იყო. დამეთანხმებით, რომ მსგავსი შედეგები მარტივად არ მიიღწევა და ყველა იმ მოსამსახურეს, რომელთა წვლილიც არის ამ წარმატებაში, ოფიციალურად გამოეცხადა მადლობა გამგებლის მხრიდან.

მართალია, სამუშაოები მუნიციპალიტეტის მასშტაბის გათვალისწინებით სხვა დიდ მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველ ქალაქებთან შედარებით მასშტაბური არ იყო, მაგრამ მთავარია, რომ თითოეული მათგანი ორგანიზებულად წარიმართა და სათანადო ინფორმაცია და დოკუმენტაცია დროულად იქნა წარდგენილი.

მიმდინარე წელსაც არანაკლები მოცულობის სამუშაოა დაგეგმილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და იმედს ვიტოვებთ, რომ შარშანდელის მსგავსად ყველაფერი წარმატებულად განხორციელდება, ვინაიდან განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობაა გამოხატული დაგეგმილი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესასრულებლად.

***რა მდგომარეობაშია ყულევის ტერმინალი? რამდენად დატვირთვით მუშაობს ის და რა არის მისი წილი ხობის ეკონომიკაში?***

–შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი" სრული დატვირთვით მუშაობს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო მთელი საქართველოსთვის, რომლის ფარგლებში შემდგომი განვითარება და ახალი ტერმინალების ამოქმედებაა გათვალისწინებული.

შავი ზღვის ტერმინალი ხობის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს

»»»»»»»»» 7

6

# „პირადი ურთიერთობების სიმყარე ყველანაირ თანამდებობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ“

## გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ასრულებს, მისი წილი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში 42%-ს შეადგენს და ყველაზე დიდ გადამხდელს წარმოადგენს. წლების განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობითი შემოსავლების წყალობით. თავად ტერმინალის ადმინისტრაციაც საკუთარი სახსრებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებს, რაც უდავოდ მისასალმებელია და ხაზგასასმელი. მუნიციპალიტეტის სახელით მსურს, მადლობა მოვახსენო შავი ზღვის ტერმინალის ხელმძღვანელობას.

***თქვენი პრაქტიკული გადმოსახედიდან, რამდენად მისაღებია თვითმმართველობის მოქმედი კოდექსი?***

—ახალი კანონმდებლობით, ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვნად ფართო უფლებამოსილებები გადმოეცა, რაც საშუალებას იძლევა ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უკვე მრავალმხრივად და ეფექტურად წარიმართოს მუნიციპალიტეტებში განვითარების პროცესები. ჩვენ უკვე საშუალება გვეძლევა ჩვენვე ჩავერთოთ საინვესტიციო გარემოს შექმნაში და ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას, რაც ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი სწორი და პრიორიტეტული მიმართულებაა მუნიციპალიტეტების ყოველმხრივი განვითარებისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში უკვე არაერთი ცვლილება განხორციელდა და მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღების მომენტიდანვე კარდინალურად განსხვავებული და პროგრესული მოტივები იყო გათვალისწინებული მასში, იგი პრაქტიკული გამოცდილებების კვალობაზე პერიოდულად იხვეწება. კანონმდებლობაც ცოცხალი ორგანიზმია, ვინაიდან საზოგადოების აქტივობას და მის განვითარებას ემსახურება.

როგორც სახელისუფლებო, ასევე არასამთავრობო სექტორთან არაერთი შეხვედრისას გაჟღერდა, რომ კანონმდებლობაში მოსალოდნელი ახალი ცვლილებებით ახალი მიმართულებები იგეგმება, რომლითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის სამოქმედო არეალი. მათ შორის უნდა აღინიშნოს კანონპროექტი, რომელიც განხილვის სტადიაზეა, საკმაოდ მოცულობითია და ითვალისწინებს საზოგადოების მეტ ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. დამეთანხმებით, ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დგება

***გაქვთ თუ არა უცხო ქვეყნის რომელიმე რეგიონთან ან ქალაქთან ეკონომიკური ან სხვა სახის ურთიერთობები და თქვენი აზრით, რამდენადაა საჭირო მსგავსი ურთიერთობების დამყარება, თუ გნებავთ გამოცდილების მიღების მხრივ?***

—როგორც გამოცდილების მიღების კუთხით, ასევე ყოველმხრივ კავშირურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივ ორგანოებთან კონტაქტი და დაახლოება.

მსგავსი მიზნებით, 2013 წელს მუნიციპალიტეტის დელეგაცია იმყოფებოდა უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ქ. სტაროკოსტიანტინოვოში, სადაც გამოიკვეთა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები სხვადასხვა მიმართულებით. მას შემდგომ იგეგმებოდა უკრაინელების ვიზიტი ხობში, თუმცა უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ვერ შედგა. იმედს ვიტოვებთ, რომ დროებით.

***თქვენი გამგებლად არჩევიდან ერთი წლის შემდეგ, რა შეფასებას მისცემდით განვლილ პერიოდს, რამდენად შეძელით ამომრჩეველთა წინაშე გაცემული დაპირებების შესრულება?***

—გამგებლის თანამდებობაზე მუშაობას, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, 2013 წლის ზაფხულის მიწურულს შევუდექი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ყველა მიმართულებით და ასეა დღესაც. მათგან გამოვყოფ არა მარტო ქალაქის, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. დაწყებული საქმე ხარისხიანად იქნა მიყვანილი ბოლომდე და საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქისა თუ სოფლების იერსახე. ანალოგიურად, მიმდინარე წელსაც ხობის მოსახლეობა აშკარად იგრძნობს სიახლეებს, რაც ათწლეულების განმავლობაში ამორტიზებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას გულისხმობს.

ჩვენი მთავარი მიზანია კერძო ინვესტიციებისთვის ხელშემწყობი გარემო შევქმნათ მუნიციპალიტეტში და ამას ვპირდებოდით მოსახლეობასაც. როგორც აღვნიშნე, ახალი კანონმდებლობით, ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვნად ფართო უფლებამოსილებები გადმოეცა, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავერთოთ საინვესტიციო გარემოს შექმნაში და ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იგეგმება არაერთი კერძო საწარმოს მოწყობა და ამოქმედება. შემოთავაზებები გვაქვს მიღებული სხვადასხვა მსხვილი კომპანიის მხრიდან, რაც ეკონომიკურ გარემოს ერთი-ორად გააუმჯობესებს.

ჩვენ საუბრისას შევეხეთ პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ორი ქარხნის მშენებლობის საკითხს. ამ და სხვადასხვა პროექტის და კერძო ინიციატივების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე ამოქმედდა, ან საფუძველი ეყრება არაერთ კერძო საწარმოს, ესენია: თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, წებო-ცემენტის მწარმოებელი ქარხანა, პლასტმასის პროდუქციის მწარმოებელი ქარხანა, რომლის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ყველა სახის პლასტმასის საქონლის წარმოება—როგორც პირველადი მოხმარების საქონლის, ასევე შენობის გადასახური კრამიტების და მსგავსი სამშენებლო მასალებისა. იგეგმება შუშის მწარმოებელი ქარხნის ამოქმედება. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ გეგმავს დაფნის პლანტაციების გაშენებას და უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი დაფნის ქარხნის მშენებლობას. მრავლადაა მსგავსი პროექტი, რომელიც განხილვის სტადიაზეა.

მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გავააქტიუროთ, რათა ეტაპობრივად აღმოიფხვრას დასაქმების პრობლემა და მოსახლეობას საარსებო წყარო გამოუჩნდეს.

ერთ-ერთ პრიორიტეტად ვსახავთ მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციას—მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სპორტული ინფრასტრუქტურის არაერთი ობიექტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გაძარცვულია. ესენია: საცურაო კომპლექსი, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ცენტრალური სტადიონი, სპორტ-დარბაზი, სატრენაჟორო დარბაზი, საუნა, საჩოგბურთო კორტები, ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამდენი სახის სპორტული ობიექტი არც ერთ მეზობელ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, და ასევე იმას, რომ ხობი გეოგრაფიულად რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული, მათი აღდგენის შემთხვევაში ხობი შესაძლებელია გადავაქციოთ რეგიონის სპორტულ ცენტრად. ამ ობიექტებიდან მარტო საცურაო კომპლექსის აღდგენაც კი უდიდეს ეფექტს მოგვცემს. სრულიად რეალურია ასევე აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზე ოლიმპიური მომზადების ცენტრის შექმნა და ყოფილი ოლიმპიური მომზადების ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის მსგავსად სპორტსმენთა ახალი თაობის პროფესიონალურად აღზრდაზე ზრუნვა. ამ მიზნებისთვის გამგეობაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მიერ შემუშავდა და საკრებულომ მოიწონა „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების პროგრამა (კონცეფცია)“. მასში დეტალურად არის აღწერილი და გაანალიზებული მუნიციპალიტეტში სპორტისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნები, შესაძლებლობები, გზები, დაფინანსების წყაროები და წინადადებები ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლო შეღავათებსა და ხელშემწყობ პირობებზე. ასევე დაისვა საკითხი ხობის მონასტრისა და მასთან არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარების თაობაზე, რასაც სასულიერო კერის აღორძინებასთან ერთად ტურიზმის განვითარების კუთხითაც უაღრესი მნიშვნელობა ექნება. ეს არის ორი გრანდიოზული პროექტი, რომელიც მთელს მუნიციპალიტეტს უდიდეს სარგებელს და დანიშნულებას შესძენს. ამ და მსგავსი საკითხების მომზადებასა და განხილვაში მთელი გუნდია ჩართული. თითოეულ განსახორციელებელ საქმესთან დაკავშირებით საკითხის დადებითად გადასაწყვეტად აქტიურად არიან ჩართულნი და მაქსიმალური მხარდაჭერაა გამოხატული სახელმწიფო რწმუნებულის—გუბერნატორის ლევან შონიას და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მხრიდან.

მხოლოდ გასულ წელს მუნიციპალიტეტის პირველ ადგილზე დასახელებაც მოწმობს, რომ ხობში ადგილობრივი თვითმმართველობა გამართულად და აქტიურ რეჟიმში მუშაობს.

***მოგეხსენებათ, საჯარო მოხელე მუდმივი დაკვირვების და ხშირად, კრიტიკის ობიექტიცაა. რა რეაქცია გაქვთ კრიტიკაზე?***

— გეთანხმებით საჯარო მოხელე მუდმივად არის დაკვირვების ქვეშ, რადგან იგი, სახელმწიფო მოსამსახურე იქნება, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე, ხალხის სამსახურშია და ირიბად მოსახლეობის წინაშეც არის ვალდებული, როგორც მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის დაქირავებული. მთელ ამ პროცესში, საზოგადოების მხრიდან საჯარო მოხელეთა მიმართ დაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლისას, ერთ-ერთი მთავარი თემაა კრიტიკა.

პირადად მე, მივესალმები კონსტრუქციულ კრიტიკას. მას ყოველთვის ყურადღებით ვეპყრობი და ვითვალისწინებ ჩემი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ჩემი დაკვირვებით, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს საჯარო სამსახურთან და საჯარო მოსამსახურეებთან, ნაკლებად ინფორმირებულნი არიან და სათანადოდ ვერ აფასებენ იმ რუტინულ შრომას, რაც საჯარო სამსახურშია. მეც, სანამ საჯარო სამსახურს შევუდგებოდი, ვერც წარმომედგინა თუ რა ენერგიას მოითხოვდა თითოეული სამუშაო დღე.

კრიტიკა განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, ჯანსაღი ფორმა უნდა ჰქონდეს და ჩასაფრების პოზიციიდან გამომდინარე და თვითმიზანი არ უნდა იყოს. საუკეთესო შედეგებს მივაღწევთ, თუ საჯარო მოსამსახურეებით დაწყებული, საზოგადოების თითოეული წევრი თვითკრიტიკული იქნება.

***რა იყო თქვენთვის იმის მთავარი მოტივაცია 2014 წელს, რომ კენჭი გეყარათ გამგებლის თანამდებობაზე?***

—წლების განმავლობაში მიმუშავია სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების მიმართ ხშირად მიჩნდებოდა პროტესტის გრძნობა, რამაც მაქსიმალურ ზღვარს ციხის ცნობილი კადრების გამოქვეყნებისას მიაღწია. დავრწმუნდი, რომ ცხოვრების გაგრძელება ასე აღარ შეიძლებოდა და თავადაც გადავწყვიტე წინ აღვდგომოდი და მებრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. „ქართული ოცნების“ წევრი ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების მოსვლამდე, არჩევნებამდე გავხდი და ხელისუფლების ცვლილება ჩემი შეხედულებების ცვლილების საფუძველი არ გამხდარა. ცხოვრების ყველა ეტაპზე გულწრფელი ვიყავი და გამორჩენის მიზნით პოზიციები არ შემიცვლია.

ჩემი მიზანი პოლიტიკოსობა არ ყოფილა. იგი ქვეყანაში და ჩემს ირგვლივ არსებულმა გარემოებებმა გამოიწვია. ჯერ კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობამდე კერძო ბიზნესს ვეწეოდი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავით. 2002 წელს, ადგილობრივ არჩევნებში, მშობლიურმა სოფელმა სასოფლო საკრებულოს წევრად ამირჩია და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიც მანდო. მას შემდეგ მუდმივად ვგრძნობ მათ მხარდაჭერას და მათ წინაშე პასუხისმგებლობასაც. როდესაც განვლილ პერიოდს თვალს გადავავლებ, ვრწმუნდები, რომ არჩევანი სწორი გამოდგა—წლების განმავლობაში გარკვეული წვლილი მიმიძღვის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საქმიანობაში.

ადგილობრივი პრობლემები ჩემთვის უცხო არ იყო და ჩვენმა გუნდმა ჩათვალა, რომ მე შემეძლო გუნდთან ერთად ამეღო პასუხისმგებლობა ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე.

***რა გზა განვლეთ ამ პოსტზე არჩევამდე? თქვენი ძმა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას ხობის პრეფექტი იყო. შემდგომ განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა თქვენი ოჯახი გარკვეული რეპრესიების ქვეშ მოაქცია. რამდენად რთული იყო ეს პერიოდი თქვენს ცხოვრებაში?***

—გავიზარდეთ უბრალო და პატიოსანი ადამიანების ხელში—მამა აგრონომი იყო, დედა—დიასახლისი. მათ ურთიერთპატივისცემის გარემოცვაში გაგვზარდეს. იყვნენ საოცრად მშრომელები, სამართლიანები და კეთილი ადამიანები. მათ ჩაგვინერგეს სამშობლოს და მოყვასის სიყვარული და სწორედ ეს იყო საფუძველი ჩვენი აქტივობისა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზნესით ვიყავი დაკავებული და წარმატებული საქმიანობაც გამომდიოდა. მას შემდეგ, რაც მშობლიურ სოფელში სასოფლო საკრებულოს თავმჯდომარედ ამირჩიეს, საჯარო სამსახურს ვეწევი და ბიზნესში არ ვარ ჩართული.

განგებამ მრავალი გამოცდა მოგვიწყო, რომელთაგან ყველაზე მძიმე უახლოესი ადამიანების დაკარგვა იყო. მუნიციპალიტეტის ისტორიაში ჩემი ძმის სახელი არამარტო მისი პირველ პრეფექტად ყოფნის გამო დარჩა—ჩვენს ოჯახს რაიონის მთელმა საზოგადოებამ მისი გმირულად დაღუპვის გამო არნახულად უთანაგრძნო. ეს მხოლოდ ჩვენი ოჯახის ტრაგედია არ იყო და გარშემომყოფთა თანადგომამ დიდი როლი ითამაშა.

მთელი ეს განვლილი პერიოდი ისევე რთული იყო, როგორიც თითოეული ქართველისთვის—სამოქალაქო ომის, თავსმოხვეული კონფლიქტებისა და თვითგადარჩენისთვის ბრძოლის პირობებში.

***იქნებ დაგვისახელოთ ყველაზე მთავარი თვისებები ადამიანებში, რაც თქვენში სიმპათიას იწვევს და რითაც ესა თუ ის ადამიანი თქვენთვის პატივსაცემი ხდება.***

—მოყვასისადმი თანადგომა და უანგარო დამოკიდებულება ადამიანებთან ურთიერთობაში.

ადამიანს რა პოზიციაც არ უნდა ეკავოს საზოგადოებაში, იგი ურთიერთობაში სუფთა და მართალი უნდა იყოს. პირადი ურთიერთობების სიმყარე ყველანაირ თანამდებობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

ნათია მელქაძე



# ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ბატონი **მალხაზ ლაგვილავა**.

# მთავარია პოზიტივის და პროგრესის დანახვა

პირველ რიგში მივესალმები ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ყველა ხობელს და ვუსურვებ ოცნებებისა და მოლოდინების ასრულებას, კეთილად დათესილის უხვად მომკას.

რაც შემეხება მე, წელს 49 წლის გავხდი, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ მემუარების წერის დრო ნამდვილად არ მაქვს, ვინაიდან ჩემმა ქალიშვილმა ელენემ თავის თანატოლებთან ერთად, ახლა უკვე უფასოდ, საბავშვო ბაღი დაამთავრა და სკოლაში გახარებული მიდის, რომ მიიღოს საკუთარი „ბუკი“. შუათანა ვაჟმა ბესომ, წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, სადაც კონკურენცია საკმაოდ მაღალია, ვინაიდან 12 სპეციალობაზე სწავლება უფასოა. მან იურისტობა აირჩია. უფროსი ვაჟი ემილი, რომელიც თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში მესამე კურსის სტუდენტია, ემზადება, რომ სწავლა ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში გააგრძელოს, რომ კიდევ უფრო მაღალი კვალიფიკაციით დაუბრუნდეს სამშობლოს. ამის შესაძლებლობას კი მთავრობის ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკა მისცემს მას და მის თანატოლებს. ეს ყველაფერი კი ჩემს ჭარმაგ მშობლებს, რომლებსაც მათი ასაკიდან გამომდინარე ჯანმრთელობის პრობლემები ხშირად აწუხებთ და საყოველთაო დაზღვევით სარგებლობენ, კიდევ უფრო უხანგრძლივებს და უხალისებს ცხოვრებას. კიდევ იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემს კარის მეზობელს–კობა ესებუას, რომელსაც ორი ქალიშვილი ჰყავდა, ტყუპი ვაჟიშვილი შეეძინა და უფასო მშობიარობის გარდა, გამგეობამ თითოეულ ბავშვზე 300-300 ლარი გადასცა და ასევე ორი წლის განმავლობაში თითოეული 150-150 ლარს მიიღებს, ერთ-ერთის ნათლია მე ვიქნები.

მოკლედ მე იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი წინაა და ნაბიჯ-ნაბიჯ ცხოვრება უკეთესობისკენ მიდის. მთავარია პოზიტივი და პროგრესი დავინახოთ. ხელი შევუწყოთ განვითარებას და სიახლეს. ასეთი დამოკიდებულება კი მოგვცემს მეტ სტიმულს, ძალას ახალი ნაბიჯებისკენ, სიკეთის კეთებისკენ. ზოგიერთ ადამიანთა უიღბლო ან უბედური შემთხვევების აღწერით დატვირთული თოქ-შოუებისგან ან ნეგატივების ჩვენებით, პოლიტიკურად ორიენტირებული საინფორმაციო გადაცემებისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ შურს, ღვარძლს და ბოროტებას თუ დასთესენ ამ ქვეყანაზე.

* * *

საქართველოში პოლიტიკური ბიოგრაფია და აქტივობა მგონი ყველას აქვს. ზოგიერთი ჯერკიდევ კომკავშირული იდეოლოგიით საქმიანობს, სადაც კარიერისთვის მლიქვნელობა და დემაგოგია მიღებულია. მიტინგებზე, სატელევიზიო თოქ-შოუებიდან და ზოგჯერ გაზეთებიდანაც აქვს ზოგს პოლიტიკური „განათლება“ მიღებული. არიან ფეოდალურ-კლანური იდეოლოგიის მიმდევრებიც, ზოგჯერ ყველა ზემოთხსენებული ვარიანტის ნაზავი, თუ ამას ყველაფერს ქართულ ამბიციურობასა და ტემპერამენტს დავამატებთ, ცრუ ლიდერებიც ბევრი გვყავდა და მათი მიმდევრებიც კიდევ ბლომად. ამიტომაა, რომ საქართველოში პარტიები იქმნებოდნენ და ქრებოდნენ, ლიდერების მიერ ძალაუფლების დაკარგვასთან ერთად. საქართველოში ეს დრო უნდა დამთავრდეს. ადამიანები პროფესიონალიზმით, განათლებით, უნარ-ჩვევებით და ცხოვრების წესით უნდა ფასდებოდნენ.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ ბიოგრაფიას, ამაზე ადრინდელ ინტერვიუში მქონდა საუბარი და ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ, რომ ჩემი პოლიტიკური აქტივობა 1980-იანი წლების სტუდენტური მოძრაობიდან იწყება, დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და ასევე ბიზნესის უმაღლესი სკოლა წარჩინებით, ვარ 9 აპრილის მონაწილე. 1991 წელს საპარლამენტო არჩევნებში, ვიყავი აკადემიკოს ლეო გაბუნიას ნდობით აღჭურვილი პირი. ამ დროს პალეონტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი, 1992-1993 წლების მოვლენებში, არცერთ მხარეს არ წარმოვადგენდი, თუ არ ჩავთვლით ოჯახზე თავდასხმებისას წინააღმდეგობის გაწევას. 1995 წლიდან ვიყავი მოქალაქეთა კავშირის ხობის ორგანიზაციის ჯერ აღმასრულებელი მდივანი, შემდგომ- თავმჯდომარე. ვიყავი რაიონის საკრებულოს წევრი 1998-2002 წლებში. პირველი მაისის საკრებულოს წევრი 2002-2006 წლებში, 1997-დან 2005 წლამდე ვმუშაობდი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, ჯერ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის უფროსად, შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსად. ყოველთვის ღიად ვაფიქსირებდი ჩემს შეხედულებებს ქვეყანაში და რაიონში მიმდინარე მოვლენებზე პირადად და საჯაროდაც. მათ შორის მაშინაც, როცა სამსახურში ვიყავი შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც. მონაწილეობას ვიღებდი საპროტესტო აქციებშიც, ვიყავი 2008 წლის რუსული ჯარის ინტერვენციის საწინაალმდგო საპროტესტო აქციების ინიციატორი. არ მიმოქმედია ჩემი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რაიმე სამსახურის ან სარგებლის მიღების მიზნით, პირიქით. როგორც მოგეხსენებათ, 2013 წლიდან ვარ რესპუბლიკური პარტიის ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე. 2014 წლიდან საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე, სოფელ პირველი მაისის მაჟორიტარი დეპუტატი.

* * *

რესპუბლიკურ პარტიას საკმაოდ ხანგრძლივი–35 წლიანი თანმიმდევრული პოლიტიკური ისტორია გააჩნია. ეს არის ორგანიზაცია, სადაც პროფესიონალი ადამიანები შეკრებილნი არიან არა მარტო პირადი ურთიერთობების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, არამედ მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გამო, სადაც ამ ხნის მანძილზე არაერთი თავმჯდომარე გამოცვლილა და მიუხედავად იმისა, რომ არაერთი წარმატებული ან წარუმატებელი არჩევნები და ოპოზიციური ბრძოლის პერიოდები ყოფილა, იგი არ დაშლილა. პირიქით, პარტია ვითარდება, ქვეყნის განვითარების პირობაზე და მიმდინარეობს თაობათა ცვლაც. რესპუბლიკური პარტია ევროპული ღირებულებების პარტიაა, სადაც მთავარი დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება, საბაზრო ეკონომიკა, ადამიანის უფლებებია. მათ შორის, უფლება, რომ ჩვენი არჩევანით შევქმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც 1991 წლის 9 აპრილის რეფერენდუმით გადაწყვიტა ქართველმა ერმა და ჩვენც ვალდებულნი ვართ დავიცვათ მისი ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენი არჩევანით განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია–დასავლეთთან ინტეგრაცია, რაც 2003 წლის რეფერენდუმით გადაწყვიტა ჩვენმა ერმა და რესპუბლიკური პარტია ამ ორიენტაციის განუხრელი დამცველია. უფლება გვქონდეს სამართლებრივი სახელმწიფო და ყველა მოქალაქე კანონით იყოს დაცული და სახელმწიფო ინსტიტუტები და მოხელეები მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურებოდნენ და ასევე მოქალაქეები ჩართული იყვნენ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც 2012 წლის არჩევნების შედეგებით გადავწყვიტეთ და რესპუბლიკური პარტია კი ამ გადაწყვეტილების ერთგული დამცველია, რომლის მაგალითი ახალი თვითმმართველობის კოდექსია იმ დათქმით, რომ ამ კოდექსში თვითმმართველობის რეფორმა 2017 წელს უნდა დასრულდეს და 2020 წლისთვის გათვალისწინებული ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, რაც პარლამენტის არჩევნებს შეეხება. ასევე ადამიანის უფლება აირჩიოს საკუთარი რელიგიური მრწამსი, ხოლო ამ არჩევანის ჭეშმარიტების განმსაზღვრელი შეიძლება იყოს მხოლოდ საკუთარი ცხოვრების წესი „იცხონე თავი შენი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო“, ამ სიტყვებს ყოველ კვირა დღის ქადაგებაზე ვისმენთ ჩვენს ტაძრებში, რასაც მეც აბსოლუტურად ვიზიარებ. მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკური პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ბატონი დავით უსუფაშვილი დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა და ჩვენი ფრაქციაც პარლამენტის საკანონმდებლო შემოქმედებაში გამორჩეულია, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, როგორიც არის ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა და გარემოს დაცვა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ხელმძღვანელობენ და ადგილობრივ დონეზეც არიან რესპუბლიკური პარტიის წევრები საკრებულოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეები და გამგებლები. შესაბამისად პარტია სრულიად იზიარებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე, რაც ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში, შესაბამის შედეგებს გამოიღებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

* * *

რესპუბლიკური პარტიის ხობის ორგანიზაცია შედარებით ახალი ორგანიზაციაა. პირველი საინიციატივო ჯგუფი 2009 წლიდან მოქმედებდა, ბატონი დავით ღვინჯილიას(დღეს სოფელ ბიის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული), ხოლო 2012 წლიდან საინიციატივო ჯგუფს აწ განსვენებული ბატონი მალხაზ ბუბუტეიშვილი ხელმძღვანელობდა. წინა მოწვევის საკრებულოში გვყავდა ფრაქცია 4 წევრის შემადგენლობით, ესენი გახლდნენ: ბატონები ლაშა ცატავა, ლევან გოგოლაძე და ლადო სერგია, ქალბატონი მანანა შულაია, 2014 წლიდან ახალ საკრებულოში ასევე გვყავს 4-კაციანი ფრაქცია, ლაშა ცატავას, შოთა სირაძის (ყულევის მაჟორიტარი, რომელიც ამავე დროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა), გენადი ქაძანაიას (ძველი ხიბულის მაჟორიტარი) და ჩემი შემადგენლობით. პარტია დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანია, არიან პედაგოგები, ექიმები, ეკონომისტები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან: ქალბატონი ნინო ქარჩავა, ბატონები რამაზ კვარაცხელია, შოთა სირაძე, ლაშა ცატავა, დავით ღვინჯილია და მე. ასევე სარევიზიო კომისია: ბატონი გიგლა ჩიტაია და ბატონი მალხაზ სიორდია. მალე ახალგაზრდული ფრთის დაფუძნებაც გვექნება, ასე რომ ორგანიზაცია ვითარდება და მომავალ არჩევნებზე უკეთესი შედეგები გვექნება.

კოალიციის შიგნით კონსტრუქციული, თემატური თანამშრომლობაა. ჩვენს ფრაქციას საკუთარი დამოუკიდებელი, შეხედულებები გვაქვს, რომელსაც ღიად ვაფიქსირებთ და ერთად ვეძებთ უკეთეს ვარიანტს, შეგვაქვს სათანადო შესწორებები გადაწყვეტილებებში. ეს არ არის კითხვები მხოლოდ კითხვისთვის ან ვთქვათ კრიტიკა კრიტიკისთვის, ეს უკეთესის პოვნის მცდელობაა მხოლოდ და არაფერი პირადული ან ვიწროპარტიული. რადგანაც საქმე ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრებას შეეხება. ჩვენი ინიციატივები ჯერ კიდევ საკრებულოს პირველი სხდომებიდან შეეხებოდა მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და განაშენიანების გენგეგმის შექმნას, მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებისთვის ტექნიკის შეძენას და საკუთარი ინერტული რესურსით შიდა გზების პრობლემების გადაწყვეტას, სოფლებში სამედიცინო ამბულატორიების გახსნასა და მათში სამედიცინო პერსონალის გაზრდას, ასევე საკრებულოს ინდივიდუალურ და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანასა და ახალი აქტების მიღებას. საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს. ამდენად ჩვენი ჩართულობა საკრებულოს მუშაობაში, საკმაოდ აქტიურია და ვიმედოვნებთ რომ იქნება შედეგიანიც.

* * *

საპარლამენტო არჩევნებისთვის თავისთავად მნიშვნელოვანი ამბიციები გვექნება, ჩვენ მაჟორიტარობის კანდიდატსაც წარვადგენთ და გავიმარჯვებთ კიდეც. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს კანონმდებლობის თვალსაზრისით ის ბევრად გაუმჯობესებულია და სამართლიანი, ვიდრე წინა არჩევნების დროს. უნდა გამოირიცხოს ამომრჩეველზე ყოველდგვარი ძალადობრივი ზეწოლისა და დაშინების შესაძლებლობა. ამავდროულად პარტიებმა უნდა შეძლონ საკუთარი პროგრამების მიტანა ამომრჩეველთან და არჩევნები უნდა ჩატარდეს არა ურთიერთ ძალადობრივი დაპირისპირების, არამედ პოლიტიკური დებატების ფონზე. სხვათაშორის, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ 1995, 1998 და 1999 წლების არჩევნების დროს მაშინდელი საარჩევნო საოლქო კომისიის ხელმძღვანელის ბატონ მერაბ სალაყაიას ინიციატივით, საკმაოდ აქტიური პოლიტიკური დებატები იმართებოდა და თითოეული პოლიტიკური სუბიექტი ერთად ებმებოდა დებატებში ამომრჩეველთა წინაშე, რაც უდავოდ კარგი ტრადიციის დასაწყისი იყო. თუმცა შემდგომ ზოგიერთ პოლიტიკურ სუბიექტს გაუქრა სურვილი ამ დებატებში ჩაბმის, ვინაიდან მათგან მხოლოდ დემაგოგია ისმოდა. მაგრამ ეს ტრადიცია ნამდვილად დასაფასებელი იყო, ვინაიდან აქ ჩანდა თითოეული პერსონის სახე და ამომრჩეველს ჰქონდა შესაძლებლობა რეალურად შეეფასებინა თითოეული მათგანი. ჩვენ ამ ტრადიციის აღდგენას მივესალმებით ეს თუ იქნება შესაძლებელი.

* * *

ყვარყვარეების თემა საქართველოში არ დამთავრებულა. გვახსოვს ყველას: „ოქროს სარაიას აგიშენებთ, ჩემსას რომ მოვრჩები მერე“. გავუფრთხილდეთ ჩვენს საარჩევნო ხმებს, ისევე როგორც სათესლე მარცვალს. არჩევნების გზით მხოლოდ საზოგადო სიკეთის მიღებაა შესაძლებელი, და თუ ამ მარცვალს დღესვე გავცვლით ფოჩიან კანფეტზე, ან საერთოდ არ გამოვიყენებთ, მომავალში მოსავალს ვერ მივიღებთ. გავარჩიოთ ვის შეუძლია დათესოს საზოგადო სიკეთე.

ფარავდეს უფალი ჩვენს ქვეყანას და მის თითოეულ მოქალაქეს.

*მოამზადა*
***მანანა შულაია***

ჩვენი დროის ადამიანები

# წელთა სიმრავლე ვერაფერს აკლებს



ვწერ ადამიანზე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ შვიდი ათეული წელი ჩამოიტოვა უკან...

ამ შემთხვევაში სამი წერტილის მიზეზის დაკონკრეტების სურვილი მომეძალა, როცა ამ ენერგიული, აქტიური პიროვნების ასაკი შევიტყვე, გაოცება გულგრილი პოზით ნამდვილად ვერ დავფარე.

შესაშური ენერგია, ვაჟკაცური შემართება და პირდაპირობა, საქვეყნო საქმისთვის უანგარო თავდადება და მიზნის მისაღწევად შეუპოვარი ბრძოლა, წესრიგიანობა და მომთხოვნელობა. როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ—აი, ის თვისებები, სხვებისგან გამორჩეულს რომ ხდის ქალბატონ ზაირა (მზია) კუტალიას. ის სამი ათეული წელია ხელმძღვანელობს ხობის სანოტარო ბიუროს. იშრომა, იღვაწა და თავისი ნიშა დაიმკვიდრა საზოგადოებაში.

ჭეშმარიტებაა, რომ სახელის მოხვეჭას და ხალხის სიყვარულს, დამსახურებას, პიროვნული თვისებების მთელი კომპლექტი სჭირდება, მის პიროვნებაში შერწყმული არის პროფესიული ცოდნა, პრინციპულობა და გულწრფელობა იმ საპასუხისმგებლო საქმისა, რომელსაც მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

ქალბატონი ზაირას შრომითი ბიოგრაფია განსაკუთრებულია. პროფესიით იურისტის მოღვაწეობა არა ერთხელ ყოფილა შეფასებული საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანოტარო წესის ზედმიწევნით დაცვისას იგი სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია მედლით, სიგელებითა და სამკერდე ნიშნით...

დღე და ღამ მოფუსფუსე ქალბატონს „ონლაინ“ რეჟიმში უხდება მუშაობა. დაუღალავი ენერგიის მქონე დილიდან საღამომდე კანონის დაცვით მოქალაქეებს ემსახურება. (ბევრ მათგანს გავესაუბრე და დიდ სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავენ ქალბატონ ზაირას მიმართ).

მიუხედავად ქართული ენის მრავალფეროვნებისა, სად ხელმეწიფება იმდენი კარგი და ამაღლებული სიტყვა მოვძებნო, მას რომ შეეფერება. თავად გამორჩეულს გამორჩეული პიროვნების, ცნობილი და ანგარიშგასაწევი ეკონომისტის რუბენ თუთბერიძის მეუღლეობა არგუნა ბედმა. მიუხედავად მისი გარდაცვალებით გამოწვეული დიდი ტკივილისა, რომელსაც სათუთად ინახავს, მისი ქვრივობითაც ამაყია... სწორედ დიდი სიყვარულით სავსე ოჯახმა გაზარდა დიდი და საამაყო შვილები და შვილიშვილები. უფროსი ქალიშვილი ირმა ექიმია, უმცროსი ინგა ინჟინერეკოლოგია, ვაჟიშვილი გიორგი საბანკო მენეჯერი. უფროსმა შვილიშვილმა ავთანდილ მამალაშვილმა —წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლონეთში გადის მაგისტრატურას, ხოლო ირაკლი და თამარ თუთბერიძეები მოსწავლეები არიან.

მისი მყუდრო სავანე არასოდეს არ არის ცარიელი. ყველას ეფერება, მოიკითხავს. გულის გულში ჰყავს ყველა ნაცნობი. ის ხომ უამრავი ადამიანის გზამკვლევია.

ვერ ვიქნები ორიგინალური მის შეფასებაში, მაგრამ, საქვეყნოდ ვაცხადებ უდიდეს სიყვარულს, მოკრძალებასა და პატივისცემას ღვაწლმოსილი ადამიანის მიმართ.

ქალბატონო ზაირა, გისურვებთ კიდევ მრავალი წელი არ გაგნელებოდეთ დაუშრეტელი ენერგია. მიხარია, რომ 70 წლისთავზე სასახელოდ აგვირგვინებთ თქვენს მოღვაწეობას.

თქვენ ჩვენი დროის კოლორიტი ადამიანი ხართ. დიდხანს იცოცხლეთ ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მჯერა, წელთა სიმრავლე ვერაფერს დააკლებთ.

**ნაირა ბერაია**

# იცვლება, მშვენდება, ძლიერდება

სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა





ხობის ცხელ ზაფხულს, მშენებლობის „ცხელება“ ემატება. მის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას წინ უძღოდა მთელი რიგი სამუშაოები, რომლის საფუძველზეც მომზადდა პროექტები. პირველ რიგში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“, არის ის, რომ მასში გათვალისწინებულია მოსახლეობის ინტერესები. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, მის სოფლებში ჩატარდა კრებები, გამოიკვეთა პრიორიტეტული სამუშაოები.

ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება, არის პირველი მაისი. მოსახლეობასთან შეხვედრაზე, უპირატესობა მიენიჭა საბავშვო ბაღის რემონტს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში არ შეკეთებულა, შენობა არ იყო უსაფრთხო იქ მყოფთათვის, ვერ ხერხდებოდა სრულად სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, მთავარი მაინც, ჩვენი მომავალი თაობისთვის, პატარა აღსაზრდელებისთვის, ნორმალური და კომფორტული გარემოს შექმნა იყო.

გვესაუბრება ინდმეწარმე ***ზურაბ კვარაცხელია.***

—ბაღის სარემონტო სამუშაოების პროექტზე ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე 2015 წლის 2 ივლისს, რემონტის თანხა შეადგენს 49.999 ლარს. პროექტით გათვალისწინებული იყო ბაღის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები, რომელიც გულისხმობდა კარფანჯრების მთლიანად (მეტალოპლასტმასით) შეცვლას, ლითონის კარების მოწყობას, კვების ბლოკის მთლიანად აღდგენას, სველი წერტილებისა და საპირფარეშოების მოწესრიგებას. სამუშაოს დასამთავრებლად 40 სამუშაო დღე მქონდა (11 აგვისტომდე). სამუშაოები უკვე დამთავრებულია და ჩაბარებულია, ჩვენ მთლიანად შევცვალეთ შენობის კედლები, შეილესა და შეიღება კედლები და ჭერი, ყველა ოთახში დაიგო კერამიკული ფილა, სველ წერტილებში და საპირფარეშოში კერამიკული ფილებით დაიფარა კედლებიც, დამონტაჟდა ხელსაბანი ნიჟარები,

მთლიანად გამოიცვალა წყლის მიწოდების სისტემა, დამონტაჟდა და სრულად გამოიცვალა ელექტრო-გაყვანილობა. შეიქმნა სრულიად უსაფრთხო გარემო მომუშავე პერსონალისა და ბავშვებისთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო, გამგებლის რწმუნებულს ქალბატონ მარინა ლაგვილავას, რომელიც ყოველთვის გვერდში გვედგა და გვეხმარებოდა. ასევე მადლობა ბაღის ყველა თანამშრომელს, მთავარ სპეციალისტის ლელა ქანთარიას ხელმძღვანელობით. უნდა აღვნიშნო, იმ მუშების შესახებ, რომლებმაც მაღალპროფესიულად შეასრულეს სამუშაოები და შექმნეს, მართლაც ლამაზი გარემო. ესენია—ფარცვანია ზაზა, ქანდარია პაატა, ხარამშვილი მამუკა, ხვიჩია ვახტანგი, ფირცხელავა ლაშა, კარტოზია ლევანი, ტურავა თენგიზი. მიხარია საბავშვო ბაღის რემონტის დროულად და ხარისხიანად დამთავრება.

ბაღის რემონტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჩვენ გავესაუბრეთ გამგებლის წარმომადგენელს პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონ **მარინე ლაგვილავას**.

—როდესაც გამოგვეყო თანხა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, პირველ რიგში შევხვდით მოსახლეობას, გავესაუბრეთ მათ, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა ამ თანხით. მერე კი მოვიწვიეთ სოფლის მოსახლეობის საერთო კრება და პრიორიტეტი მივანიჭეთ საბავშვო ბაღის შენობის რემონტს, თვითონ ბაღის შენობა ორსართულიანია, მეორე სართული შედარებით უკეთესად იყო მოწესრიგებული, ხოლო პირველ სართულზე, სადაც ბავშვთა კვების ბლოკი კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. (კედლებიდან ბათქაში ცვიოდა, იატაკი საერთოდ არ არსებობდა, კარ-ფანჯრები აჭრილი გვქონდა, არც თუ ისე იშვიათად მღრღნელების და მავნე მწერების გავრცელებასაც ჰქონდა ადგილი). ამიტომაც გავითვალისწინეთ საბავშვო ბაღის რემონტის საკითხი. თქვენ თვითონაც ხედავთ, რემონტის შემდეგ როგორ შეიცვალა აქაურობა, მინდა მადლობა ვუთხრა ინდმეწარმე ზურაბ კვარაცხელიას იმისთვის, რაც მან გააკეთა საამშენებლო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისთვის. ყველაფერი გაკეთებულია ევროსტანდარტების დონეზე, ასე, რომ ბაღის აღსაზრდელებს, რომლებიც არდადეგებიდან დაბრუნდებიან, ელოდებათ ზღაპრული გარემო.

**P.S. საბავშვო ბაღის რემონტის დამთავრების აღნიშვნაზე დასწრებამ მეც მომიწვია, ისევ ხელახლა დავათვალიერე ყველაფერი და სწავლის დაწყების დღეს ისევ აქ მოსვლა გადავწყვიტე, რადგან დიდი სურვილი მაქვს ვიხილო აღმზრდელებისა და მშობლების სიხარულით აღტაცებული თვალები.**

**მანანა შულაია**

ვაჟა ლოლუა-ეგრისელი–74

# „სქან სიცოცხლეშ გოლუაფირო“



მინდა მკითხველს სიამოვნებით შევახსენო, რომ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, პოეტ-აკადემიკოს ვაჟა-ეგრისელს ახლახან 74 წელი შეუსრულდა. ვულოცავ მას და მთელ საქართველოს მისი დაბადების დღეს. უფალს ვთხოვ დიდხანს ისმოდეს ბატონი ვაჟას ომახიანი ხმა ქართული პოეზიის სადიდებლად.

ვაჟა-ეგრისელის იუბილესთან დაკავშირებით ფაზისის უძველესმა აკადემიამ მას საჩუქრად ხომალდ „არგოს“ ძვირფასი მაკეტი მიართვა წარწერით:

„სიცოცხლეშივე ქართველი ერისა და მისი ძირძველი მხარის, სამეგრელოს უკვდავებადქცეულ ლეგენდას, ილიასეულ უმტკიცეს ბურჯს, აკაკის ჩონგურის გაუწყვეტელ სიმს, ჭეშმარიტ ცოტნეიდელს, „კოლხური ფსალმუნებით“ დედასაქართველოს მეხოტბესა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს საფიცარ მეგობარს–ბატონ ვაჟა ეგრისელს“.

წარწერას აკადემიის სახელით ხელს აწერს თავადაც ღირსეული ქართველი, ბატონი ნუგზარ ნადარაია, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი.

კიდევ ერთი საოცრად თბილი და უაღრესად მნიშვნელოვანი დახასიათება ბატონი ეგრისელისა: „მიხარია, რომ მეოცე საუკუნეში, ვაჟა-ფშაველას შემდეგ, ბუნებისა და სამყაროს თავისებურად აღმქმელი, კიდევ ერთი დიდი პოეტი შეემატა ქართველ მწერალთა რიგებს, რაც დრო გავა, უფრო მეტი ბრწყინვალება მოემატება მის პოეზიას, როგორც ამომავალ მზეს. ვაჟა–ეგრისელის შემოქმედება ჰგავს მაღალი მთიდან გადასახედს მომავალში“. ამ სიტყვების ავტორი გახლავთ ბატონი ალექსი რაზიკაშვილი, დიდი ვაჟას შვილიშვილი.

მინდა გულწრფელი ვიყო: კეთილად შემძრა ამ მორიდებული ქართველის, გამოჩენილ ადამიანთა აღიარებამ, ჩვენი სასიქადულო შვილის ვაჟა-ეგრისელის შემოქმედების უმაღლესმა შეფასებამ. მთელი ჩემი არსება მოიცვა ერთადერთმა სურვილმა–აქამდე ჩემგანართქმული მეთქვა, განსაკუთრებულად მოვფერებოდი პოეტ-აკადემიკოსს, ჩემს თანასოფლელს, რომელსაც პირველი ლექსი „დედას“ მე დავუბეჭდე, მაშინ ხობის რაიონულ გაზეთ „სოციალიზმის მშენებელში“, რომლის რედაქტორის მოადგილე გახლდით... და უცებ თავში მომივიდა აზრი, ფშავურ კილოკავზე დაწერილი ლექსით მოვფერებოდი მას. აი, ის ლექსიც:

*კოლხო, ფშავიდან მოგძახი,*
*გულსავსე შენი ტრფობითო.*
*ჩემი პაპაისნაირო*
*მოსაწონ ჭარმაგობითო.*
*მეგრულ „ნანათი“ გაზრდილო,*
*შამკულო ჭკუა-ნიჭითო,*
*ამაყობს შენი საფიხვნო*
*მისი გაზრდილი ბიჭითო!*
*გეპატიჟები ფშავშია,*
*მსურს მოგიხადო ქუდიო!*
*სეხნიავ დიდი ვაჟასი*
*შეგასვა ფშაურ ლუდიო!*
*ნამუსის ქუდი დაგხურა*
*უფალმა მისი ნებითო,*
*შენ ჩვენო ბერო მინდიავ,*
*ღირსო ხოტბის და ქებისო!*
*დღეგრძელგყოს ღომისის*
*მადლმა*
*კაცო, მართალი გულითო,*
*„ღმერთმა სამშობლო*
*გიცოცხლოს“*
*ჭირ-ვარამ-სიხარულითო!*
*ასწიე, ცამდე ასწიე*
*ნიჭი ქართული გენისო,*
*უფალმა არცროს გაგხადოს*
*საგანი კილვის, წყენისო!*
*ილიას სიბრძნით ნაკურთხო,*
*მუხავ, ალიოს ნერგისო,*
*შოთაის კვალზე მავალო,*
*ლექსის აწმყოვ და მერმისო!*
*ჩემო სისხლო და მოყვარევ,*
*კოლხო, გუბაზის ჯიშისო!*
*ღვთისმშობლის მადლი*
*გფარავდეს*
*ვაჟავ, ერთგულო ფიცისო!*

**ახლა მინდა მეგრულად შენი ნანას სიტყვებით მოგმართო:**

*საქორთუოშ ოქროშ მუზა,*
*მოკო ჯგირო ორდე ირო,*
*სკან ნიჭიშ დო სკან ჭკუაში*
*გოლუაფირო, გოლუაფირო!*
*ჩქინი გურიშ მეფე რექი,*
*თექ გალვენუ ბინა ირო!*
*სკანი სიტყვა დო გონებაში*
*გოლუაფირო, გოლუაფირო!*
*სამარგალოშ არამხუტუ,*
*ჩქინი ფარო და მტერიშ ჭირო,*
*სკანი მანგიორ მილუდასი,*
*სკან სიცოცხლეშ გოლუაფირო!*

***მერი აბრამია.***
***საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი***

***P.S.** ბატონო ვაჟა!*

***ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხობის მოამბის“ შემოქმედებითი კოლექტივი მოგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს.***

***ჩვენ ვიცნობთ თქვენს შემოქმედებას, თქვენს ლექსებს, გვიყვარს და სიამაყით ვიმეორებთ მათ. ვიცით თქვენი ნიჭიერების, კეთილშობილების, კაცთმოყვარეობის, ქველმოქმედების ამბავი.***

***გავიხარეთ, როცა თქვენი „კოლხური ფსალმუნების“ 25-ე ტომეული რუსთაველის პრემიაზე წარადგინეს, როცა ვაჟა-ფშაველას პრემია დაიმსახურეთ, ხოლო თქვენმა ახალმა აღიარებამ „ქართული პოეზიის რაინდის“ წოდების მინიჭებამ, სიამაყისა და სიხარულის ახალი გრძნობით აგვავსო!***

***იცოცხლეთ ჩვენდა იმედად, გვეამაყებით!***

# კოლხური ფსალმუნებიდან

*ვაჟა ეგრისელი*

## ჩემი კოლხეთი

ქაოსს და წარღვნას
გადარჩენილები,
ათასწლეულები წარსულში იყურების...
ციდან თავს გვაწონებს
გამომხმარი მთვარის მუმია:
და... ჩემი კოლხეთი პრეისტორიული
სამყაროს ცოცხალი მუზეუმია.

1964

## ტკიბირი დო ნისორი

ოქროს კბილა ღრეღილი—
სიწითლეს კვლავ იცინის,
სიფრიფანა ფქვილი კი
ოქროს კაბას ისწორებს,
ოცდაათი წელია,
დღეს რომ შეციცინებს:
ბაყბაყდევისთვალება ტკიბირი
და ნისორი.

1959

## ჰკითხეთ სტრაბონს

მაშინ, როცა ცისქვეშეთში,
თენდებოდა რიჟი-რაჟოდ,
ისევ, ისევ ვიმეორებ,
ჰკითხეთ სტრაბონს,
ვისაც დღა ჰყავდა ჭანი,
თუკი იყო კოლხთა გარდა,
სხვათ ჭაჭანი.

1964

## ცოტნესა და ჭყონდიდელის

გოჯის ციხიდან
არავინ უწყის,
დღევანდელი ჩემი კოლხეთი,
თუ როგორი ჩანს
ათასეულ წლების იქიდან.
მე, კი ზღაპრული მელანდება
იგი–ედემი.
და აიეტის ცადატყორცნილ
გოჯის ციხიდან,
ძველი კოლხეთის დიდ წარსულში
კვლავ ვიხედები.
ცოტნეს და ჭყონდიდელის
დასაპყრობად შემოსული
მტერი აღარ დაინდობა.
კოლხებს მოსდევს ოდინდელი:
ცოტნესი და
ჭყონდიდელის—
სიბრძნეცა და რაინდობაც.

1989

## ხობს და ხეთას

ხმა არ ისმის არამ–ხუცეს,
დიდ ძმის–
უსუპის და ბადრის,
არც ცამეტის კოშკსა ვხედავ!
თუმცა თუშუმ
ვითარც ადრე,
კვლავ მფარველობს ხობს და ხეთას.

1961

## აიეტი და ფარტაზი

დიდ ხელმწიფის—
გუბაზ მეფის,
კოლხეთია ბედისწერა...
და... ღვთიური აზრი აზის:
ყოველ სიტყვას,
ყოველ ბგერას,
აიეტის და ფარტაზის.

1968

## კირბები

*„კოლხებს შემონახული აქვთ*
*თავიანთ მამათაგან ნაწერი*
*კირბები“ აპოლონიოს როდოსელი*
*(IV ს. ჩვ.წ. აღ)*

გვერდითა გყავთ ძიძა—პონტო
და კოლხეთი ზღვის და ცოდნის
უპირველეს აკვანს არწევს.
ტალღები კი ჰგვანან კირბებს—
წიგნებს კრავის ტყავზე ნაწერს.

1961

## ამონარიდები ვაჟა ეგრისელზე

**ემირ ბურჯანაძე:** (მხატვარი)–„როგორც სვეტიცხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელმა უმშვენიერესი ქართული პოეზია“.

**შოთა ნიშნიანიძე: (პოეტი)**–„ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა თავისი პოეტური ხელწერა. მისი ლექსი ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტევადი. იქ ვერ აღმოაჩენთ სიცარიელეს, მისი ხილვები მეტაფორიის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამენტივით აღიქმება...“

**ნოდარ ტაბიძე:** (პროფესორი)–„ვაჟა ეგრისელი–კაცი გაჩენილი ლექსისთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის...“

**მორის ფოცხიშვილი:** (პოეტი)–„ვაჟა ეგრისელმა პეგასი, როგორც თარაშ ემხვარმა ულაყი, პოეზიის აბობოქრებულ ენგურში შეაგდო...“

**ლაშა გვასალია** (პოეტი)–„...ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტი და ისტორიული კოლხეთის სწორუპოვარი ჭირისუფალია.“

**ცოტნე მირცხულავა** (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი) –ახლახანს ამერიკის შეერთებული შტატებიდან–რადიოთი დიდი გადმოცემა იყო ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეგრისელი დიდი პიროვნება და საქვეყნოდ აღიარებული პოეტია...“

გვერდი მოამზადა ნაირა ბერაია

# სპორტი

## ნუგზარ წურწუმიამ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბრაზილიაში ქალაქ სალვადორ დე ბაიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა 5 მედლით და გუნდური პირველი ადგილით დაასრულა. შეჯიბრების პირველ დღეს ვერცხლის მედალი ხობელმა ნუგზარ წურწუმიამ 50 კგ.წონით კატეგორიაში მოიპოვა. მან ფინალამდე 3 ძლიერი შეხვედრა ჩაატარა, პირველი შეხვედრაში ნუგზარმა უნგრელ სპორტსმენს 10:0 სძლია და გადაინაცვლა მე-14 ფინალში, სადაც აზერბაიჯანელი ნოლალ ბაბევი დაამარცხა 5:2. ნახევარფინალში მან უზბეკი სპორტსმენი დაამარცხა 6:4. ფინალში მისი მეტოქე ირანელი რეზა ხედრი იყო. საბოლოოდ ნუგზარ წურწუმიამ მსოფლის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 60 ქულით პირველობა არავის დაუთმო, მეორე ადგილზე აზერბაიჯანი გავიდა 53 ქულით, მესამეზე რუსეთი 47 ქულით.

## ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის ტურნირი



ხობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის, ფოთის „კოლხეთის" ჭაბუკ ფეხბურთელთა, მარტვილის საფეხბურთო სკოლისა და ხობის „კოლხეთის" გუნდების ყოფილი ფეხბურთელის ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშებამ ფეხბურთში.

ტურნირი საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით ტარდება და მასში მონაწილეობას იღებს; მარტვილის საფეხბურთო სკოლის, ხონის საფეხბურთო სკოლის, სენაკის „ტეხურას", ზუგდიდის „ზუგდიდის", ფოთის „კოლხეთისა" და ხობის საფეხბურთო სკოლის 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

ტურნირის გახსნის ცერემონიალს ნუტის ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფინალური შეხვედრა 29 აგვისტოს ნუტის დაბადების დღეს გაიმართება, სადაც გამარჯვებული გუნდი ნუტის სახელობის თასის მფლობელი გახდება.

## ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში



17-20 აგვისტოს ქ. ხობში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში.

გამოვლინდნენ პრიზიორები და მუნიციპალიტეტის პირველობის გამარჯვებულნი.

მესამე ადგილზე გავიდა ძველი ხიბულის ფრენბურთელთა გუნდი, რომელიც დაჯილდოვდა მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხეთის და საჯიჯაოს ფრენბურთელები. ხეთელებმა ადვილად დაჯაბნეს მეტოქე და გახდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონები.

ხეთელებს გადაეცათ პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი, ხოლო საჯიჯაოლები, დაჯილდოვდნენ მეორე ადგილისათვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

გამოსათხოვარი



## იმედო ქანდარია

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, გამორჩეული ადამიანური თვისებების პიროვნება, საუკეთესო მეგობარი, მამა და ბაბუა**

**იმედო ქანდარია**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.**

კარგი ადამიანები ასეთ ასაკში არ უნდა მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან... ისინი წუთისოფელს უნდა ამშვენებდნენ და აძლიერებდნენ თავიანთი სიცოცხლით...

მეგობრობა, ძმაკაცობა და სიყვარული აახლოვებდათ და აძლიერებდათ ჩემს გოგისა და იმედოს. მათი მეგობრობა მარადისობაში გადავიდა...

გოგიმ იმედოს ერთადერთი გოგონა–მაიკო მონათლა. მირონმა ჩვენი ოჯახები ჭირისა და ლხინის თანაზიარნი გახადა. იმედო ჩვენი ოჯახის საიმედო მეგობარი იყო... ის დედას მესამე ვაჟად მიაჩნდა...

13 აგვისტო თავზარდამცემი იყო. ტელეფონით გაგონილმა ამ საშინელმა ამბავმა გოგის გარდაცვალებით მიღებული ტკივილი განმიახლა. იმედო ჩვენთვის იყო გოგის ახალგაზრდობა. ყოველი შეხვედრისას წარსულის მოგონებებით ვივსებოდით...

ძალიან დაგვაკლდები მთელს ოჯახს, მაგრამ იცოდე, გოგისა და შენს მიერ ჩაყრილ საფუძვლებს ვერაფერი მოშლის, ის ძალიან მყარია და მარადიული...

შენც და გოგიმაც აიხდინეთ თქვენი სურვილი–ჩვენი სიკვდილი მეხის გავარდნას უნდა გავდესო! ასეც მოხდა.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს!

**გოდერძი ბუკია.**

მოულოდნელად გარდაიცვალა მამულიშვილობის, კაცურკაცობის, მეგობრობის ეტალონი, გამორჩეული პიროვნება იმედო ქანდარია. ის იყო ხობის კოლორიტი. გაიარა ცხოვრების საინტერესო გზა. იყო ახალგაზდობის ლიდერი, მუშაობდა საპასუხიმგებლო თანამდებობებზე, მეგობრებთან სუფრაზე ყოფნა და საუკეთესო ქართული ტრადიციები ძალიან უყვარდა, იყო ბრწყინვალე თამადა....მას უსამართლოდ ატკინეს გული, მაგრამ არ გაბოროტებულა და ზნეობრივ პრინციპებს არ უღალატა. „საიმედო იმედო" ასე მივმართავდი, ისეთი სახელი და სიყვარული დატოვა. მის ოჯახს, სახელისა და ცხოვრების გამგრძელებლებს, მეგობრებს შუქურასავით წარუძღვება წინ.

უფალმა ნათელში ამყოფოს!

**ზურაბ ერქვანია**

დადგა თითოეული ჩვენთაგანისთვის ძალიან მძიმე დღე. ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოება გამოეთხოვა გამორჩეულ პიროვნებას ბატონ იმედო ქანდარიას.

იგი დაიბადა 1959 წელს. მინიჭებული ჰქონდა სწავლული აგრონომის წოდება. მისი შრომითი ბიოგრაფია დაიწყო ბრიგადირობიდან. სრულიად ახალგაზრდა აირჩიეს ხობის კომკავშირის რაიკომის მდივნად, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად. იყო ხობის №1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ხობის სამმართველოს უფროსი, სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი. ბოლო წლებში ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი. სადაც ბატონ იმედოს უმუშავია ყველგან სიყვარულს, სიკეთეს თესდა.

მას განგებამ მკაცრი გამოცდა მოუწყო, ცხოვრების სიმწარეც გამოაცდევინა, მაგრამ ვერ გატეხა, ჭირთათმენა ისწავლა და ცხოვრების აღმართს წელგამართული აუყვა. უბრალო, კეთილი, გულმაგარი, მოსიყვარულე, მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული. ასეთი იყო იგი და ასეთად დარჩა.

თამადობაც გამორჩეული და თავისთავადი იცოდა, ნებისმიერი სუფრა, რომელსაც ბატონი იმედო უძღვებოდა, ნამდვილი აკადემია გახლდათ. როცა მის სავიზიტო სიმღერა „ყვავილების ქვეყანა" და „გულმართალი კაცი მიყვარს" დაიწყებდა, მაშინ ვხვდებოდით, რომ სრულ ქეიფში იყო შესული.

ჩვენ დავკარგეთ მეგობარი, ოჯახმა და შვილებმა შესანიშნავი მეუღლე და მამა, შვილიშვილებმა მოსიყვარულე ბაბუა, ქვეყანამ კარგი ქართველი, ხობმა გამორჩეული ხობელი.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

**ბეჟან ნადარაია**

## ნათელ–მირონობის ძალა

ჩემო იმედო!

ჩვენი მეგობრობა გოგისა და შენი მეგობრობით დაიწყო. დაიწყო და წლები უხინჯოდ, შეუცვლელად, სიყვარულითა და პატივისცემით გრძელდებოდა. გოგის გარდაცვალების შემდეგ მიხაროდა, რომ შენ არსებობდი. მეიმედებოდა სიყვარულით გაჯერებული მეგობრობით აღსავსე ურთიერთობები... ამ ურთიერთობების ხიდი და უზენაესი კავშირის ძალა ნათელ-მირონობა გახლავთ. გოგი შენი ერთადერთი ქალიშვილის მაიკოს ნათლია იყო. ამაზე დიდი და უზენაესი არაფერი მგონია.

იმედო, სიკვდილისთვის ძალიან, ძალიან დამენანე. არა, შენს ასეთ უეცარ წასვლას არ ველოდი. ფაქტი ერთია, შენ და გოგი თავს ვერ გაუფრთხილდით, არ მოუარეთ, ექიმებსა და თქვენს დაავადებებს გაუჯიუტდით. თქვენ, არც ერთი, თბილისიდან არ უნდა წამოსულიყავით!.. მაგრამ, ალბათ, უფალს ასე უნდოდა.

უთვალავი წლების თანაშეზრდილ მეგობრებს ერთი ბედი გერგოთ, ბედისწერის ძაფი ერთნაირად გაწყდა.

ვიცი, თქვენ უსათუოდ იქ, მარადიულ სამყოფელში შეხვდებით ერთურთს და ჩვენგან შორს, კვლავ გაგრძელდება თქვენი მეგობრობა და ახლობლობა...

მჯერა, ჩვენს ოჯახებს, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და ყველა მეგობარსა და ახლობელს დაიფარავთ, დაგვლოცავთ.

ჩემო გოგი და იმედო, გთხოვთ, იქ მშვიდად, აუფორიაქებლად იყოთ.

ჩვენ, თქვენს სახელსა და ღირსებას გავუფრთხილდებით.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დაე, უფლისკენ სავალი გზა, ჩვენს მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ.

***ნანი კილასონია.***

# ფოტოკოლაჟი

## „ყოჩნუობა“–2015

### ხობი











### მარტვილი





### ფოთი





### წალენჯიხა



## ხატს ღვთისმშობლისას

მზემ, დამაფრქვია სითბო ციური და
დამაბნია მაშინ,
სხივი მომხვია წმინდა ღვთიური გულში
შემეჭრა იმით,
მადლი ვიგრძენი ჯერ არნახული რად
მიმატოვა მაინც,
ახლა მარტო ვარ იმ სიცივესთან, რასაც
ვემალე უწინ.
სქელი კედელი ამოიმართა,
გაუცხოების ზურგით.
ხატს ღვთისმშობლისას თვალი შევავლე,
დადგა ქამნობა მწუხრი,
მე სალოცავად ველარ მოვედი, ვერ
დაგიჩოქე. გულით,
დღეს, სიყვარულმა ის გააკეთა, რაც
ვერ შევძელი გუშინ.

*ლალი ჭედია*

## მოლოცვა

### ნიკოლოზ თევდორაშვილს!



ჩვენი მეგობრის, ექიმ-პედიატრ სვეტლანა გვათუას ერთადერთ შვილიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენი სურვილია 2 წლის ნიკოლოზს უფალმა დაანათლოს ჯანმრთელობა, მზეგრძელობა, სიყვარულის ნიჭი. ასევე ვულოცავთ მის მშობლებს—მელანოსა და გიორგის. ვუსურვებთ შვილთა სიმრავლეს, ოჯახურ ბედნიერებას სიყვარულით სავსე ოჯახს.

*რედაქციელები*

## განცხადება

ქ. ხობში, ბერიას ქ.№1-ში, გაიხსნა შ.პ.ს. „ბექა-ტური“, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ავტობუსის ბილეთები თურქეთისა და რუსეთის მიმართულებით.

მსურველები დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით.

ტელეფონზე: 579-63-04-04

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.